სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 27 თებერვალი 2008 №043 (3267) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემურ ქეცბაია ჯერ ძალიან ზოგადია

ჩამოვიდნენ და დავილაპარაკოთ. შემომთავაზონ და მოვილაპარაკოთ

ფედერაცია და ვარიაცია

ნოდარ ახალკაცის ახალი ვარიანტი: გიორგი დევდარიანი 15-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელად

ნაკრებს თავი მარტში დაედგმება

ცუდია, რომ არ ვისვენებთ, კარგია, რომ ვმასპინძლობთ

ინტერვიუ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ბესიკ ლიპარტელიანთან იხილეთ მე-12 გვერდზე

ახლო წარსულის ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი ფეხბურთელი თემურ ქეცბაია ერთი კვირის წინ ღირსების ორდენით დაჯილდოვდა, გუშინწინ კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, თემურ ქეცბაიას ეროვნული ნაკრების მწვრთნელ კლაუს ტოპმიოლერის თანაშემწეობა შევთავაზეთო. მოგეხსენებათ, თემური კვიპროსზეა და იქაურ „ანართოსისს“ წვრთნის, ჩვენც მას ფამაგუსტაში შევეხმიანეთ...

ნოდარ ახალკაცს კვიპროსზე ველი

თემურ ქეცბაია: ქართველი ვარ და, რა თქმა უნდა, მესიამოვნა

— როგორც ნოდარ ახალკაცმა თქვა, საქართველოს ეროვნულ ნაკრებში კლაუს ტოპმიოლერის თანაშემწეობას გთავაზობენ...

— მართალია. ტელეფონით ვისაუბრეთ, თუმც გადაწყვეტით არაფერი თქმულა. აქ უნდა ჩამოვიდნენ და დავილაპარაკებთ.

— ამ შემოთავაზებით დაინტერესდით?

— რა თქმა უნდა, მესიამოვნა. ქართველი ვარ და, რაც შემეძლება, ყველანაირად გვერდით დავუდგები ქართულ ფეხბურთს. ჯერ ზუსტად არ ვიცი, რას მთავაზობენ და ყველაფერს მოლაპარაკება გაარკვევს.

— თქვენ „ანართოსისს“ წვრთნით და ეს ხელს ხომ არ შეგიშლით?

— არ ვარ ის კაცი, „ანართოსისი“ შუა გზაში მივატოვო. ჩემპიონატშიც და თასზეც კარგად მივდივართ და ეს საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანო. რამდენად შესაძლებელი იქნება ორივე საქმის შეთავსება, ამას წინასწარ ვერ გეტყვით, რადგანაც არ ვიცი, რა პირობებს წამომიყენებს ფედერაცია და ჩემთვის რამდენად მისაღები იქნება ეს ყველაფერი.

— ორი დღეა, რაც მიხეილ ყაველაშვილმა, გოჩა ჯამარაულმა და ლევან ყიფიანმა კავშირი „ჩვენი ფეხბურთი“ ჩამოაყალიბეს. თქვენთან ხომ არ ჰქონიათ მათ საუბარი?

— არა, მათთან არ მისაუბრია, თუმც მისასალმებელია, რომ ვეტერანმა ფეხბურთელებმა ასეთი კავშირი შექმნეს. ფაქტია, ქართულ ფეხბურთში საქმე მთლად კარგად არ არის და ამას ვერავინ უარყოფს. ამიტომ ქართული ფეხბურთის წინსვლისთვის ყველა ერთად უნდა დავდგეთ.

ნუკრი ლოლაძე

ფედერაციამ დევდარიანს მწვრთნელობა შესთავაზა

საქართველოს ახალშექმნილ 15-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელად, შესაძლოა, გიორგი დევდარიანი დაინიშნოს.

ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა და მწვრთნელობის კანდიდატი ერთმანეთს ფედერაციაში გუშინ უკვე შეხვდნენ და სამომავლო ამბებზე ისაუბრეს. დევდარიანმა ფედერაციის უფროსობას ამ ასაკობრივი და, ზოგადად, ჭაბუკთა ფეხბურთის განვითარების მისეული პროგრამა გააცნო, რაც მასპინძლებმა ყურადღებით მოისმინეს და, ცხადია, თავიანთი მოსაზრებებიც გამოთქვეს.

დევდარიანის საქართველოს 15-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელად დანიშვნა ჯერ გადაწყვეტილი არ არის, თუმცა კი ყველაფერი აქეთ მიდის და ვფიქრობთ, ამ ასაკობრივი გუნდისთვის დევდარიანის მწვრთნელობა ურიგო ვარიანტი არ უნდა იყოს.

დევდარიანსა და ფედერაციას შორის მოლაპარაკება გაგრძელდება და ვნახოთ, როგორ დასრულდება.

შეგახსენებთ: დევდარიანი ადრე „თბილისს“ თავკაცობდა, დღესდღეობით კი ფეხბურთის კლუბ „საბურთალოს“ მწვრთნელია.

ლუკა თალაკვაძე

ზაურ სვანაძე: ვიცნობ იმათ, ვისთანაც ვიმუშავებ

„ოქროს დინამოს“ ფეხბურთელი ზაურ სვანაძე გუშინწინ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების თავკაცად დაინიშნა, ამავდროულად, ალბათ, ეროვნულ ნაკრებშიც დარჩება ფიზმომზადების მწვრთნელად. სამაგიეროდ, სვანაძე წამოვიდა შვედეთიდან, სადაც მესამე ლიგის გუნდ GMMF-ს თავკაცობდა. ისე, აღსანიშნი კია, ჩვენი 19-წლამდელთა ნაკრები ერთადერთი იყო ასაკობრივებში, ბოლო 2 წელიწადში თუნდაც ერთი ევროშესარჩევი რომ დაუძლევია, თუმცა შარშან ოქტომბერში ჰაინც ტოპმიოლერის გაწვრთნილმა გუნდმა ციკლი პირწმინდად ჩააგდო — შინ თამაშობდა და ოთხგუნდა ჯგუფში ბოლო ადგილზე გავიდა...

— მიხარია, რომ 19-წლამდელებს გავწვრთნი — მენდნენ და უნდა გავამართლო იმედები.

— ასაკობრივ ნაკრებში არასოდეს გიმუშავიათ და არ გაგიჭირდებათ?

— ნაკრებში არა, მაგრამ სხვადასხვა გუნდში მყოლია 19 წლის და უფრო უმცროსი ფეხბურთელები. თუნდაც შვედეთში მრავლად მყავდა ამ ასაკის ბიჭები.

— და ამ ასაკის ქართველ ფეხბურთელებს იცნობთ?

— დიახ. შარშან ჰოლანდიასთან მატჩიც ვნახე 19-წლამდელებისა — იქ რამდენიმე 1990 წელს დაბადებულიც თამაშობდა. მოკლედ, ასე თუ ისე, მაქვს წარმოდგენა ამ გუნდზე. ამასთან, საკმაოდ ნიჭიერი ბიჭებიᲨ მოდიან 17-წლამდელებიდან.

— შემოდგომაზე ევროშესარჩევი ციკლი დაიწყება. 1990 წელს დაბადებულნი არიან ლევან ყენია, ლევან მჭედლიძე და გიორგი მაკარიძე. არის შანსი, რომ ისინიც ათამაშოთ?

— არ ვიცი, თუმცა ეჭვი კი მეპარება. ისე, ჩვენი მიზანი, რა თქმა უნდა, შედეგია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია 21-წლამდელთა ნაკრებისთვის ფეხბურთელების მიწოდება. კარგია, რომ ეს პროცესი წარმატებით მიმდინარეობს და იმედია, ასეც გაგრძელდება.

— თქვენი თანაშემწეები გოჩა ჩიქოვანი და დავით გვარამაძე იქნებიან. ისინი თქვენ შეარჩიეთ?

— დიახ.

— უახლოესი ტესტ-მატჩი როდის გექნებათ?

— ჯერჯერობით არ ვიცი...

— პარალელურად ეროვნულ ნაკრებშიც იმუშავებთ?

— თუ 19-წლამდელთა შეკრებებს ან მატჩებს არ დაემთხვევა, ალბათ, ვიმუშავებ. ჯერ ზუსტად ვერ გეტყვით...

ილია ნანოგაშვილი

ზაურ სვანაძე, შესაძლოა, ეროვნულ ნაკრებშიც დარჩეს

გადრი ქეთილაძის ფოტო

ინგლისი

ჩემპიონატი
გადადებული მატჩები
ბარნსლი 0:0 ძუინზ პარკი
ბარნლი 2:0 ძოვენთრი
პრესტონი 2:0 სტოკი

პირველი ლიგა
გადადებული მატჩები
ძრიუ 0:1 კარლაილი
ლუთონი 1:1 მილუოლი
ოლდემი 2:2 სუინდონი

მეორე ლიგა
გადადებული მატჩები
აკრინგტონი 1:0 ბრენტფორდი
ბრედფორდი 3:2 როტერჰემი
დაგენემი 1:0 ჰერეფორდი
მენსფილდი 1:1 ბერი
რეძსემი 0:2 პიტერბრო

კონფერენსლიგა
გადადებული მატჩები
ჰისტონი 3:3 სტაფორდი
ტორკი 1:1 ალტრინჩემი
ფორესტ გრინი — ჰალიფაქსი გადაიდო

LDV VANS TROPHY
1/2 ფინალი. I მატჩი
მორეკამბი 0:1 გრიმსბი

ავსტრია

ბუნდესლიგა. XXVI ტური
პაშინგი 0:2 შტურმი

იტალია

სერია A. XXV ტური
იუვენტუსი 0:0 ტორინო

სერია B
გადადებული მატჩი
ასკოლი 0:1 ბრეშა

ჰოლანდია

თასის მეოთხედფინალი
ჰაარლემი 1:5 ჰერაკლესი
დორდრეხტი 1:3 როდა

შოტლანდია

მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩები
პიტერჰედი 2:2 ალოა
ბრეჩინი 1:2 როსი
კუოდენბითი — ძუინზ პარკი გადაიდო

მესამე დივიზიონი
გადადებული მატჩები
ფორფარი 1:0 ალბიონი
დამბარტონი — სტენჰაუზმური გადაიდო

გერმანია

თასის მეოთხედფინალი
დორტმუნდი 3:1 ჰოფენჰაიმი
შტუტგარტი 2:2დ.დ.(4:5პ) კარლ ცაისი

საფრანგეთი

ლიგის თასი
ნახევარფინალი
პსჟ 3:2 ოსერი

თურქეთი

თასის მეოთხედფინალი
საპასუხო მატჩი
გენჩლერი 2:2 დემირი (1:0)

ფინეთი

ლიგის თასი. IV ტური
როვანიემი 0:0 ჰიკ

პოლონეთი

ლიგის თასი
მეოთხედფინალი. I მატჩები
პოლონია 0:2 ლეგია
იაგელონია 1:1 ვისლა

ამხანაგური მატჩები

სიონდერისკე 1:1 რანდერსი
კოპენჰაგენი 2:2 ნორდსიელანდი
დანგანოვი 0:2 კორკი
დროჰედა 3:2 კლიფტონვილი
შალკე 5:0 დინამო (ბ)

სარბიელელები მწუხარებას გამოვთქვამთ გორის „დილას“ და თბილისის „დინამოს“ ვეტერანი ფეხბურთელის, „დილას“ ყოფილი მწვრთნელის

რევაზ მამესწარაშვილის

გარდაცვალების გამო

დავრჩი ჩოგბურთელივით

სამწუხარო რეალობაა, მაგრამ ფაქტია — ჩვენი ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული გუნდის გამორჩეულ ფეხბურთელებს, გოგი ფიფიასა და გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძეს ზაფხულამდე უგუნდოდ ყოფნა ემუქრებათ. საქმის არსი კი ასეთია: ფიფია-ჭელიძეს ზაფხულში კონტრაქტი უმთავრდებათ, „ზესტაფონმა“ კი მათ ხელშეკრულების 3-3 წლით გაგრძელება შესთავაზა, რაზეც ფეხბურთელებმა უარი თქვეს.

ეს „ოლიმპთან“ სათასო მატჩის შემდეგ ფეროელთა მწვრთნელმა თემურ მახარაძემაც თქვა და დაურთო, კლუბის ხელმძღვანელობასა და ფეხბურთელებს შორის უნდა შედგეს შეთანხმება, მე დანარჩენზე პასუხს ვერ გაგცემთ, მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ჩვენთვის ორივე დიდი ძალაა.

და რაკი ფიფია და ჭელიძე ახალ კონტრაქტზე ხელს არ აწერდნენ, ლაპარაკი იყო, რომ „ზესტაფონი“ მათ „ბათუმში“ გაანათხოვრებდა. ბათუმელებიც და ფეხბურთელებიც „ზესტაფონის“ პრეზიდენტ ილია კოკაიას საქართველოში ჩამოსვლას ელოდნენ. კოკაიაც ჩამოვიდა, კვირას „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩსაც დაესწრო, მაგრამ... დანარჩენს ფიფია გვეტყვის:



გოგი ფიფია და გიორგი ჭელიძე

ბუბა დოლიძის ფოტო

გოგი ფიფია: ილია კოკაიამ ჩემთან შეხვედრა არ ისურვა

— დღეს უნდა შევხვედროდი ილია კოკაიას. კლუბის ოფისში მივედი, მაგრამ მან არ ისურვა ჩემთან შეხვედრა. კლუბის პრეზიდენტი არც სხვაგან მიშვებს, არც გუნდში დარჩენის ნებას მაძლევს და არც მელაპარაკება. ვარ ასე, უგუნდოდ.

— „ზესტაფონში“ დარჩენაზე თანახმა ხარ?

— სიამოვნებით დავრჩებოდი ზაფხულამდე, სანამ კონტრაქტი დამთავრდება, მაგრამ ვარჯიშის საშუალებასაც არ მაძლევენ.

— **გამოსავალს რაში ხედავ?**

— ვერაფერში.

— **ანუ რა გამოდის: გაიძულებენ, სამი წლით გააგრძელო კონტრაქტი?**

— დიახ. ფეხბურთელს ექვსი თვე ჰქონდეს დარჩენილი კონტრაქტით და ასე მოისროლო, არ ვიცი, რა წესია. ამიტომაც გვაქვს ფეხბურთში საქმე კარგად, ასეთი მიდგომა რომ არის.

— **კი მაგრამ, თუ მაინც არ აგრძელებ კონტრაქტს, რაში უნდა აძლევდეს ხელს „ზესტაფონს“ შენი უთამაშებლად დარჩენა, „ბათუმს“ ხომ უნდოდა შენი და ჭელიძის ოჯარით აყვანა?**

— ეგ ვერც მე[illegible] -რივად, მეუბნებიან, დაიღუპეო... არ მიშვებენ და უქმად უნდა ვიყო. ასე როგორ დავრჩე, გუნდი არ მინდა?! ჩოგბურთელი ხომ არ ვარ?!

— **რამე კონფლიქტი ხომ არ მოგსვლია კლუბის ხელმძღვანელობასთან?**

— კონფლიქტი კი არა, ისე კარგად მოვემზადე ამ ზამთარს, ადრე არასოდეს მოვმზადებულვარ. ტრავმაც არ მქონია, ორი შეკრებაც გავიარე და ვიფიქრე, ჩემს საუკეთესო სეზონს ჩავატარებ-მეთქი.

— **უკრაინულ „დნიპროში“ იყავი წასული და უკან გამობრუნდი, თანაც ისე, რომ ერთ საკონტროლო მატჩშიც არ გითამაშია. რა მოხდა?**

— არ ვიცი, ეგეც რაღაც გაურკვევლობაა. თურქულ შეკრებაზე გავყევი „დნიპროს“ და გუნდის მეორე მწვრთნელი მოვიდა, მითხრა, „ზესტაფონი“ შენს დაბრუნებას ითხოვსო. რა უნდა მექნა, „ზესტაფონს“ შევუერთდი და ეგრევე მითხრა კლუბის ხელმძღვანელობამ, ახალ კონტრაქტს უნდა მოაწერო ხელიო.

— **მწვრთნელი თემურ მახარაძე რას ამბობს?**

— მწვრთნელი ვერ წყვეტს — უცნაური ამბავია, მაგრამ უკვე აღარ მიკვირს...

— **როგორც ვიცით, გიორგი ჭელიძეც ზუსტად შენნაირ მდგომარეობაშია...**

— უარესში. მგონი, მას ჩემზე თვეებით მეტი დარჩა კონტრაქტის დამთავრებამდე. მე კიდევ მოვითმენ და თუ გამოსავალი ვერ მოიძებნა, ექვსი თვე დავრჩები უგუნდოდ. აბა, რა ვქნა, განათხოვრება არ გამოდის, არ მიშვებენ, თორემ მსურველი გუნდები მყავს...

ილია ნანოგაშვილი

საქართველოს უმაღლესი ლიგა — **19** — **ჩემპიონატი** — II წრე. 14 ტური

თოვლისგან დაჩაგრული

სიონმა ექვსქულიანი მოიგო

ტარიელ შოთნიაშვილი გორიდან

დიდთოვლობის გამო მეორე წრის პირველი ტურის გადატანილი მატჩი საკმაოდ საინტერესო სანახავი გამოდგა — გუნდებმა თავიდანვე ღია თამაში გააჩაღეს და მაყურებელსაც არ მოუწყენია.

შეხვედრას ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი პეტარ სეგრტიც ესწრებოდა.

პირველი ტაიმი სტუმართა მცირე უპირატესობით წარიმართა, რაც მათმა სწრაფმა გოლმაც განაპირობა.

მე-10 წუთზე გიორგი კვიტაიშვილმა ჯარიმიდან ჩაწოდა, იქ კი ყველას კამერუნელმა ბოიომო ფრიდოლინმ დაასწრო და მაქსიმე ქვილითაიას შორეულ კუთხეში გაუტანა.

ანგარიშის შეცვლა პირველ ტაიმში ორივე გუნდს შეეძლო. — ბოლნისელთაგან გატანა შოთა ჯიქიას ორჯერ, ხოლო ერიკ რომეო ჩასემს ერთხელ მართებდათ. თავის მხრივ, გულხელდაკრეფილნი არც მასპინძლები ყოფილან — მამუკა ღონღაძესა და ვახტანგ კვარაცხელიას რომ ევარგათ, ანგარიშს გაათანაბრებდნენ.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე ბოლნისელებმა კიდევ ერთხელ იხეირეს — 55-ე წუთზე ბექა ნოზაძემ ჩააწოდა საჯარიმოში, სადაც ყველაზე ადრე ბურთთან გიორგი კვიტაიშვილი გაჩნდა და ანგარიშში სხვაობა გაორმაგა.

ამის შემდეგ „სპარტაკი“ უფრო გააქტიურდა, ბოლნისელებს კი ძირითადად კარის უსაფრთხოებაზე უხდებოდათ ფიქრი და შეტევაში წასვლაზე დიდად არც მოუნდომებიათ.

ცხინვალელებს რამდენიმე მომენტი შეექმნათ, თუმცა იმავ ღონღაძე-კვარაცხელიამ ვერც ამჯერად ივარგეს.

გორი. 26 თებერვალი. 14 საათი. ძართლი. 100 მაყურებელი

სპარტაკი 0:2 სიონი

0:1 ფრიდოლინი (10), 0:2 კვიტაიშვილი (55)

სპარტაკი: ქვილითაია, კუპრეიშვილი, ხაჭიპერაძე, ქემოკლიძე, მამუკაშვილი, ხიდეშელი (ბახტურიძე 60), ძარია, ტყეშელაშვილი (თურმანიძე 73), გოგოხია (ივანაშვილი 55), ვ. კვარაცხელია, მ. ღონღაძე	**სიონი:** ბობღიაშვილი, ქურასბედიანი, ფრიდოლინი (ზ. ავალიანი 71), სვანიძე, კობური, გ. ოქროპირიძე, ლ. ბაჯელიძე, ბ. ნოზაძე, კვიტაიშვილი (შავგულიძე 82), შ. ჯიქია, ჩასემი (ზ. ჭელიძე 77)
სათადარიგონი: კოდალაევი, დათუნაშვილი, ქორიძე, ქავთარაძე	*სათადარიგონი:* გიგა იაშვილი, ქარდავა, ლ. ვაშაკიძე, სანიკიძე
მწვრთნელი: კობა ჟორჟიკაშვილი	**მწვრთნელი:** გიორგი ყიფშიძე

გაფრთხილება: ქურასბედიანი (19), ბაჯელიძე (31), კუპრეიშვილი (44), ხიდეშელი (53), ჯიქია (70), კვიტაიშვილი (78)

მსაჯები: ო. ხეცაძე, ლ. თოდრია, ო. მოლოდინაშვილი, ლ. სილაგავა

პრემიერ-ლიგა

დინამო	14	12	0	2	36:6	36
ვიტ ჯორჯია	14	11	1	2	27:9	34
ზესტაფონი	14	11	1	2	27:8	34
ოლიმპი	14	8	3	3	15:9	27
ბორჯომი	14	7	4	3	17:10	25
ამერი	14	7	1	6	22:17	22
მესხეთი	13	6	2	5	15:17	20
სიონი	14	5	3	6	18:17	18
მგლები	13	5	0	8	14:19	15
მერანი	14	4	1	9	8:23	13
სპარტაკი	14	3	3	8	5:16	12
ლოკომოტივი	14	3	1	10	9:22	10
დილა	14	1	4	9	7:24	7
ბათუმი	14	1	2	11	5:28	5

პრემიერ-ლიგა

კობა ჟორჟიკაშვილი: წაგების მიზეზი მომენტების გამოუყენებლობაა. მეტოქემ ეს უკეთ შეძლო და დავისაჯეთ. თან მათი გოლები სტანდარტულ მდგომარეობებს მოჰყვა.

გიორგი ყიფშიძე: „სპარტაკმა“ თასზე „დინამოსთან“ კარგად ითამაშა და სრული სერიოზულობით მოვემზადეთ. თან ეს მატჩი, რომ იტყვიან, ექვსქულიანი იყო. კარგია, რომ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა.



ასათიანი დაბრუნდა

სამკვირიანი შესვენების შემდეგ მალხაზ ასათიანი მოედანს დაუბრუნდა.

ავსტრიულ შეკრებაზე ჩასულმა მოსკოვის „ლოკომოტივმა“ გუშინ ტესტ-მატჩი გამართა იქაურ „შვანენშტადტთან“ და 2:0 დაამარცხა.

ტრავმამოშუშებულმა ასათიანმა და დავით მუჯირმა თითო ტაიმი ითამაშეს და საკმაო პრობლემებიც შეუქმნეს ავსტრიელებს. მალხაზს ერთხელ გოლის გატანაც შეეძლო, როცა საჯარიმოში მცველი მოატყუა და მეკარეს თავზე გადაუგდო ბურთი, მაგრამ... „შვანენშტადტის“ კარის დარაჯმა ბოლო წამს იყოჩაღა.

მეორე ტაიმში მუჯირსაც მეკარემ დასწყვიტა გული — ათიოდ მეტრიდან დარტყმული აუღო.

ძახა შალამბერიძე

ალადაშვილმა 6 თვე გააფორმა
მარცვალაძემ ოპერაცია გაიკეთა, ხარკოვი კი მაინც ფიქრობს

ერთი ქართველი ითამაშებს „ხარკოვში“ თუ ორი, ჯერაც გასარკვევია. კახა ალადაშვილი და ოთარ მარცვალაძე უკრაინის ჩემპიონატის მეთორმეტეადგილოსან გუნდს თურქულ შეკრებაზე ახლდნენ, თუმც იქ მხოლოდ ალადაშვილმა გამოიჩინა თავი — გოლიც გაიტანა, საგოლე პასებიც დაარიგა და გუშინ რომ შეეხმიანეთ, ახალი ამბავიც გვითხრა:

„დღეს ექვსთვიან ხელშეკრულებას მოვაწერე ხელი. კიევის „დინამომ“ ამდენი ხნით გამანათხოვრა, თუმც „ხარკოვს“ ჩემი გამოსყიდვის უფლება აქვს. კმაყოფილი ვარ, მწვრთნელი ვლადიმირ ბესონოვიც კარგი თვალით მიყურებს და ძირითადში მოხვედრის პრობლემაც არ მაქვს. თანაც, „ხარკოვი“ გაცილებით სჯობია „ზაკარპატიეს“, სადაც აქამდე ვიყავი. უმაღლესი ლიგიდან გავარდნა არ გვემუქრება“.

და მარცვალაძე?

ალადაშვილმა გვითხრა, რომ ხარკოველები მის დატოვებაზეც ფიქრობენ, თუმც ოთარი ტრავმებმა გააწვალა, ეს ზამთარი მკურნალობაში გაატარა და კიდევ საკმაო ხანს მოუწევს უქმობა.

„მარცვალაძემ გუშინ მუხლის ოპერაცია გაიკეთა, თუმცა „ხარკოვს“ იმედი აქვს, რომ მალე ოთარი ფეხზე დადგება და ბოლო ტურებში მაინც შეეშველება გუნდს. აქ კარგად იციან, რომ მარცვალაძე კარგი ფეხბურთელია და არ უნდათ მისი ხელიდან გაშვება. მისი ტრავმა აფიქრებთ, მაგრამ ვნახოთ, შეიძლება, აიყვანონ“ — გვითხრა ალადაშვილმა.

ილია ნანოგაშვილი

კვირკველიამ რუბინს ფინალი ააცილა

ესპანურ ლა მანგაში ოთხთა საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობს, რომელშიც ნუკრი რევიშვილის, ლაშა სალუქვაძისა და დავით კვირკველიას ყაზანის „რუბინიც“ მონაწილეობს.

ყაზანელები ტურნირის ნახევარფინალში დანიურ „ბრონდბიუს“ შეხვდნენ და პენალტების სერიაში დამარცხდნენ. გადამწყვეტი პენალტი კი დავით კვირკველიამ გააცუდა, რომელმაც შეუცვლელად ითამაშა.

რევიშვილი და სალუქვაძე მოედანზე არ გამოჩენილან.

„რუბინი“ მესამე ადგილისთვის მატჩში ნორვეგიულ „ტრომსოს“ შეხვდება.

მიხეილ ჟორჟოლიანი

გუშინ კარტეფელდე, დღეს ბარსელონა

საქართველოს ფუტსალის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩებს ესპანეთში გამართავს.

29 თებერვალს ჩვენები ქალაქ კასერესში მასპინძლებს შეხვდებიან, 1 მარტს კი — ხორვატებს.

ამ შესარჩევი ციკლისთვის პეტრე თაბუკაშვილის გუნდი ესპანეთშივე ემზადება და ამხანაგურ მატჩებსაც ატარებს. პირველი შეხვედრა ქართველმა ფუტსალელებმა კლუბ „კარტეფელდესთან“ გამართეს და 6:2 იმარჯვეს.

გოლები ზოიძემ (2), ნეფარიძემ, ასათიანმა, იოსებიძემ და ბოკერიამ გაიტანეს.

დღეს საქართველოს ნაკრები „ბარსელონას“ ფუტსალის გუნდს შეხვდება.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ლაშა ჯაკობიას პრეზენტაცია გაუცდა

ლაშა ჯაკობიასა და პოლტავის „ვორსკლას“ სხვა ახალწვეულების ოფიციალურმა პრეზენტაციამ ქართველის გარეშე ჩაიარა. მას ტრავმა აქვს და კიევში, ექიმ ლინკოს კლინიკაში მკურნალობს.

შეგახსენებთ: ჩვენებურმა ტრავმა სიმფეროპოლის „ტავრიასთან“ მატჩისწინა მოთელვაზე მიიღო.

მიხეილ ჟორჟოლიანი

თარხნიშვილს ხორგუაშვილი შეუამხანაგდა

მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა კვიპროსულ შეკრებაზე მყოფმა მოლდოვურმა „შერიფმა“ და ვაჟა თარხნიშვილის გარდა მის შემადგენლობაში პავლე ხორგუაშვილიც გამოჩნდა.

პავლეს ტრავმა აწუხებდა და წინა საკონტროლო მატჩებში ამის გამო არ უთამაშია, სერბულ „რადთან“ (1:0) მატჩში კი მოედანზე 81-ე წუთზე შევიდა.

შერიფელთა კაპიტანმა თარხნიშვილმა, რა თქმა უნდა, სრულად ითამაშა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ალექსანდრ ომელიანოვი რუსთავის „ოლიმპში“ პირველად „თანამეგობრობის თასზე“ გამოჩნდა და პირველივე მატჩში დუბლი გაიფორმა. თითქოს უკრაინელი ფეხბურთელის „ოლიმპში“ ჩარიცხვა გადაწყვეტილი იყო, მაგრამ მის აქ ჩამოსვლას თვე დააგვიანდა — ომელიანოვი ზედ სეზონის დაწყების წინ გამოჩნდა გუნდში და ჩემპიონატის განახლებამდე თასზე თამაშიც მოასწრო, თუმც ის მატჩი რუსთაველებმა „ზესტაფონთან“ წააგეს, სამაგიეროდ, უკრაინელმა თავდამსხმელმა თბილისის „დინამოს“ გაუტანა და თავის გუნდს მოგებაში დიდად დაეხმარა. უკრაინელს გუშინ გავესაუბრეთ...

ალექსანდრ ომელიანოვი: რაც შეიძლება, მეტი გოლი მინდა

— რას იტყვი „დინამოსთან“ მატჩზე?

— საინტერესო თამაში გამოდგა. მეტოქეც კარგად გამოიყურებოდა. ბოლო წუთამდე გადაწყვეტილი არფერი იყო. კარგია რომ გუნდს გოლით შეეშველე. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ იმ ეპიზოდში დევდარიანმა ძალიან კარგად ითამაშა.

— ფავორიტად „დინამოს“ ითვლებოდა. რის ხარჯზე მოიგო „ოლიმპმა“?

— ვფიქრობ, ტაქტიკურად უკეთ ვითამაშეთ — მოედნის ცენტრში ვაჯობეთ მეტოქეს. ამასთან, ვიცოდით, რომ თბილისის „დინამოს“ წინააღმდეგ ღია თამაში არ შეიძლებოდა და კონტრშეტევებზე ავაგეთ სქემა.

— მეტოქე გუნდიდან ვის გამოარჩევდი?

— ქართველ ფეხბურთელებს ჯერ გვარებით არ ვიცნობ. „დინამოს“ კარგი ნახევარმცველები ჰყავს. განსაკუთრებით მარცხენა ნახევარმცველი (გიორგი მერებაშვილი) აქტიურობდა, რამდენჯერმე პრობლემები შეგვიქმნა.

— პირველი შეხედვით, რა შთაბეჭდილება დაგრჩა ქართულ ფეხბურთზე?

— კარგ გუნდს ვეთამაშეთ შესანიშნავ სტადიონზე და პირველი შთაბეჭდილება ნორმალურია, დანარჩენი კი ვნახოთ...

— როგორ შეადარებ უკრაინისა და საქართველოს ჩემპიონატებს?

— ვფიქრობ, „დინამოც“ და „ოლიმპიც“ უკრაინის ჩემპიონატში საშუალო დონის გუნდები იქნებიან. უკრაინაში ხუთი-ექვსი გუნდი აშკარაჯ გამოკვეთილია დანარჩენებისგან.

— „თანამეგობრობის თასიდან“ რუსთაველებს არ გამოჰყოლილხარ და გვიან შეუერთდი. რა იყო ამის მიზეზი?

— საბუთები იყო მოსაწესრიგებელი და ამიტომაც შევყოვნდი.

— პირველი ბურთი უკვე გაიტანე, კიდევ რამდენის გატანას აპირებ?

— რაც შეიძლება მეტის.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ელიტელი და ფედერაცია: 8 მარტიდან ირაოზე

შარშან „ელიტელის“ თასის გათამაშება ქალებს შორის მინიფეხბურთში უეფას პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ გახსნა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და მაღაზიათა ქსელი „ელიტელი“ წლეულსაც ჩაატარებენ ამ ტურნირს. ამის თაობაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გუშინ პრესკონფერენცია გამართეს ფედერაციის მარკეტინგის მენეჯერმა დიმიტრი ბოკერიამ და „ელიტელის“ პროექტების მენეჯერმა ირინა ეგაძემ.

ტურნირი 8 მარტს დაიწყება და ხუთ დღეს გასტანს. ტურნირში მონაწილე გუნდებს ფორმებს „ელიტელი“ ჩააცმევს. გუნდებს განაცხადში 10 ფეხბურთელის ყოლის უფლება ექნებათ. განაცხადის შეტანის ბოლო ვადა 2 მარტია.

„ელიტელის“ თასი ვაკეში „ირაოს“ საფეხბურთო სკოლის მოედანზე ჩატარდება. გამარჯვებულებს და პრიზიორებს ტურნირის ორგანიზატორები ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვებენ.

ირინა ეგაძე, „ელიტელის“ პროექტების მენეჯერი: „მაღაზიათა ქსელი „ელიტელი“ გოგონებს მოუწოდებს ცხოვრების ჯანსაღი წესისკენ და სწორედ ამიტომ ატარებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად ამ ტურნირს...

...პირველმა გათამაშებამ ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია და სწორედ ამან გადააწყვეტინა მაღაზიათა ქსელ „ელიტელს“ მსგავსი პროექტის კიდევ ერთხელ განხორციელება...

...გამარჯვებულთათვის ფასიანი პრიზებია დაწესებული და ვიმედოვნებთ, რომ ეს ტურნირი მონაწილეებს კარგად დაამახსოვრდებათ...

...სასიხარულოა, რომ ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტში რამდენიმე კომპანიამ უკვე შემოიტანა განაცხადი. მათ შორის, მაღაზიათა ქსელმა „ელიტელმა“ და კომპანია „ელიტ ელექტრონიქსმა“.

ნუკრი ლოლაძე

მოიესის ფანტასტიკა

ინგლისი

პრემიერლიგა. XXVII ტური

სიტი 0:2 ევერტონი

0:1 აიეგბენი (30), 0:2 ლესკოტი (38)
სიტი: ჰარტი, ონუოჰა, რიჩარდსი, დანი, ბოლი, ვასელი (კასტილიო 75), ფელლონი, ჰამანი (ელანო 46), აირლენდი (კაისედო 68), მ. პეტროვი, მვარუეარი
მწვრთნელი: სვენ-გორან ერიკსონი
ევერტონი: ჰოვარდი, ჰიბერტი, იობო, იაგიელკა, ლესკოტი, ფ. ნევილი, კარსლი, ოსმანი, პიენაარი (ფერნანდეში 56; ჯონსონი 67), ტ. კეჰილი, აიეგბენი
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
გაფრთხილება: კარსლი
გაძევება: პეტროვი (90)
მსაჯი: სტაილზი
41 728 მაყურებელი


სვენ-გორან ერიკსონი

დევიდ მოიესი

„ევერტონმა“ „სიტის“ მოუგო და თანაქალაქელ „ლივერპულს“ ცხრილში მეოთხე საფეხური წაართვა. ეს ძვირფასი ადგილია, რაკი ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპისკენ გზას უხსნის.

„სიტი“ არ ჰგავდა იმ გუნდს, რომელმაც ცოტა ხნის წინ დერბიში „მანჩესტერი“ დაამარცხა. „ევერტონს“ უფრო დიდი სხვაობითაც შეეძლო მოგება, მსაჯს ორჯერ პენალტი რომ დაენიშნა. ორჯერვე საჯარიმოში ხელით მიკა რიჩარდსმა ითამაშა.

მასპინძლებმა შესვენებამდე კარში ერთხელ დაარტყეს, სტუმრებს კი მეტი მომენტი ჰქონდათ, რომელთაგან ორი გამოიყენეს. ტომ კეჰილის პასით იაკუბუ აიეგბენიმ გაიტანა და სეზონში მე-16 გოლი მიითვალა, მერე კი ლი კარსლის ჩაწოდებულ ბურთს ჯოლეონ ლესკოტო ძელთან დაუხვდა და კარში თავით შეაგდო.

უპირატესობა მეორე ტაიმშიც „ევერტონის“ იყო, „სიტის“ კი შეტევაში არაფერი გამოსდიოდა. გაბრაზებულმა მასპინძელმა პეტროვმა მატჩის ბოლოს მეტოქე ლეონ ოსმანს ხელი ჰკრა და გააძევეს.

მანკუნიანელთა მწვრთნელმა სვენ-გორან ერიკსონმა თქვა: „ვფიქრობ, მსაჯი შეცდა. ეს დარტყმა კი არა, უბრალოდ, შეხება იყო“.

გამარჯვებულთა თავკაცმა დევიდ მოიესმა კი განაცხადა: „სიტისთან“ ორ მატჩში ექვსი ქულა ძალიან კარგი შედეგია. სეზონის ამ ეტაპზე 50 ქულა გვაქვს, რაღ ფანტასტიკურია და ვიმედოვნებ, რომ მოგებას გავაგრძელებთ“.

ვაჟა ხუციშვილი

არსენალი	27	19	7	1	56:20	64
მანჩესტერი	27	19	4	4	55:15	61
ჩელსი	26	16	7	3	38:17	55
ევერტონი	27	15	5	7	43:23	50
ლივერპული	26	12	11	3	43:19	47
ასტონ ვილა	27	13	8	6	50:35	47
პორტსმუთი	27	12	8	7	37:26	44
სიტი	27	12	8	7	34:31	44
ბლეკბერნი	27	11	9	7	36:34	42
ვესტ ჰემი	26	11	7	8	31:23	40
ტოტენჰემი	26	8	8	10	48:41	32
მიდლსბრო	27	7	8	12	25:41	29
ნიუკასლი	27	7	7	13	30:52	28
უიგანი	27	7	5	15	26:42	26
სანდერლენდი	27	7	5	15	26:46	26
ბოლტონი	27	6	7	14	27:39	25
ბირმინგემი	27	5	8	14	27:40	23
რედინგი	27	6	4	17	31:55	22
ფულემი	27	3	10	14	25:45	19
დერბი	27	1	6	20	13:57	9

ჯონი და კარლი



პოლ გესქოინის ამბავს ვაგრძელებთ: ინგლისური ფეხბურთის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ხალასი ვარსკვლავი, მოგეხსენებათ, გადაბმული ლოთობისა და ნარკოტიკების მოხმარებისგან ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოხვდა, სადაც მას მამამ, 62 წლის ჯონმა და ძმამ, 39 წლის კარლმა მიაკითხეს. მათთვის ექიმებს პაციენტთან ვიზიტი არ აუკრძალავთ, თუმცა მისთვის მობილური ტელეფონის დატოვების ნება არ მისცეს.

ჯონ და კარლ გესქოინებმა პოლთან ორსაათნახევარი დაჰყვეს.

„ექიმებმა კარგად იციან, რომ მათი პაციენტის პრობლემა ხშირ შემთხვევაში გარე სამყაროსთან არის დაკავშირრებული და ამიტომ, ცდილობენ, ის ამ სამყაროსგან გარკვეული დროით მაინც მოკვეთონ“ — უთხრა ჟურნალისტებს საქმეში ჩახედულმა მავანმა ადამიანმა.

რამდენადაც ცნობილი გახდა, მედიკოსები გესქოინს 28 დღის შემდეგ ან შინ გაუშვებენ, ანაც ნახევარი წლით დაიტოვებენ. ეს მკურნალობის ტემპსა და დინამიკაზეა დამოკიდებული.

და, რა საკვირველია, დაავადებულ ვარსკლავს მხარდამჭრნიც გამოუჩნდნენ. ერთ-ერთი ასეთთაგანი გახლდათ კრივის ლეგენდა ფრენკ ბრუნო, რომელმაც 40 წლის ყოფილ „ფენომენს“ შეუძახა: „შენ ამას შეძლებ! ისევე, როგორც თავის დროზე მე შევძელი!“

დღეს 46 წლის ექსმძიმეწონოსანმა, 2003 წელს მიიყვანა თავი ფსიქიატრიულ კლინიკამდე.

„ძალიან ვწუხვარ. ვიცი, პოლი ძალიან შეშინებული იქნება. მერწმუნეთ, ფსიქიატრიული სასურველი ადგილი ნამდვილად არ არის, მაგრამ მწამს, ის ყველა პრობლემას ძალიან მალე დაძლევს“.

ბოლო პერიოდში საბრალო გესქოინი მართლა ძალიან ცუდად იყო. როგორც მისი ყოფილი საყვარელი, 29 წლის ჯენი უილკინსი ყვება, „ის ცდილობდა, „პოლისჯოხთან“ ჰქონოდა სექსი“.

„პოლი დღედაღამ სვამდა და უკლებლივ ყოველ ღამე ერთ გრამ კოკაინს მოიხმარდა — მოუთხრო ჯენიმ ჟურნალისტებს — თანდათანობით მას ქცევა შეეცვალა. აშკარა იყო, რომ გიჟდებოდა“.

შეგახსენებთ, რომ თავის დროზე „მანჩესტერ იუნაიტედის“ ლეგენდამ ჯორჯ ბესტმა „ვაზას“ მაჯის საათი აჩუქა — ამას დახედე და გაგახსენდება, ცხოვრება ჩემნაირად რომ არ უნდა დაასრულოო.

ბესტმა სმისგან ღვიძლი გადაიგვარა...

პაპუნა კედია

დიეგოს სამი ერგო

„ვერდერის“ ნახევარმცველი დიეგო სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. „აინტრახტთან“ მატჩის მე-40 წუთზე ბრაზიანელმა ფეხბურთელის გინებას დარტყმით უპასუხა და გააძევეს, სადისციპლინო კომიტეტმა კი უხეშობა ძვირად დაუსვა. „ვერდერი“ ჩემპიონატში მეორე ადგილზეა და „ბაიერნს“ ოთხი ქულით ჩამორჩება. დიეგო გუნდს „დორტმუნდთან“, „შტუტგარტთან“ და „ვოლფსბურგთან“ ვერ დაეხმარება.

მეტალურგი აილტონი

„დუისბურგის“ ფორვარდი აილტონი დონეცკის „მეტალურგში“ გადავიდა და ორწლიანი კონტრაქტი გაფორმა. „ასეთი გამოცდილი თავდასხმელი ძალიან წაგვადგება“ — თქვა კლუბის სპორტულმა დირექტორმა ვარდან ისრაელიანმა. 33 წლის აილტონს „ვერდერში“ გერმანიის ჩემპიონატი მოუგია და ბუნდესლიგის მთავარმეგოლეც იყო. მას „შალკეში“, „ჰამბურგში“, „ბეშიქთაშში“, „კრვენა ზვეზდასა“ და „გრასჰოპერშიც“ უთამაშია, ხოლო „დუისბურგში“ შარშან გადავიდა და რვა მატჩში ერთი გაიტანა.

კერჟაკოვი რვა მილიონად

„სევილიას“ მეგოლე ალექსანდრ კერჟაკოვი რუსეთში დაბრუნდა და მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელი გახდა. ფორვარდმა კლუბთან სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. მის სანაცვლოდ „დინამომ“ რვა მილიონი ევრო გადაიხადა. ამ თანხის 20 პროცენტი „ზენიტს“ ერგება, საიდანაც კერჟაკოვი „სევილიაში“ ორი წლის წინ გადავიდა. ესპანურ გუნდში მან 37 მატჩში 11 გოლი მიითვალა.

ნიგერია ხვალ იტყვის

ნიგერიის ფეხბურთის ფედერაცია ნაკრების ახალ მწვრთნელს ხვალ დაასახელებს, ძველი კი, ბერტი ფოგთსი, აფრიკის თასის დასრულების შემდეგ წავიდა. გერმანელს კონტრაქტი 2010 წლამდე ჰქონდა, მაგრამ დარჩენა აღარ ისურვა, რაკი გუნდმა განასთან მეთხუთმეტფინალში წაგო. ფედერაციას ათამდე კანდიდატი ჰყავს და ნუსხაში ტოგოს ყოფილი მწვრთნელი სტივ კეში ლიდერობს. მის გარდა სიაში არიან აგუსტინ ეგუავონი, სანდი ოლისე, დანიელ ამოკაჩი და შაიბუ ამოდუ.

ლუდით ნაცემი ჰიკსი

„ლივერპულის“ მეპატრონე ტომ ჰიკსის შვილს პაბში მიაფურთხეს. „მიდლსბროსთან“ მოგებული მატჩის (3:2) შემდეგ უმცროსი ჰიკსი მეგობრებთან ერთად ლუდის დასალევად პაბში შესულა, სადაც „ლივერპულის“ ფანები ღრეობდნენ. ქომაგებმა ბიჭი იცნეს, ჯერ შეურაცხმყოფელი სიტყვები „ესროლეს“, მერე ერთმა ლუდი შეასხა, მეორემ კი მისკენ გადააფურთხა. გულშემატკივრებს ტომ ჰიკსი გულზე არ ეხატებათ, რადგან ამერიკელი რაფაელ ბენიტესის მოხსნას აპირებს, ფანებს კი ესპანელი მწვრთნელი უყვართ.

ვაჟა ხუციშვილი

საფრანგეთი

II დივიზიონი. XXV ტური

სედანი 1:2 ნანტი

ლე ავრი	25	15	8	2	43:21	53
ნანტი	25	15	6	4	39:20	51
ტრუა	25	13	8	4	33:20	47
ბასტია	24	12	6	6	34:22	42
კლერმონი	25	9	12	4	34:25	39
გრენობლი	25	10	8	7	31:24	38
მონპელიე	25	9	9	7	27:20	36
სედანი	25	9	9	7	30:28	36
ანჟერი	25	9	9	7	24:22	36
აიაჩო	25	9	8	8	27:30	35
ბრესტი	25	8	7	10	21:30	31
გენგამი	25	7	9	9	23:24	30
ამიენი	25	7	8	10	31:33	29
შატორუ	25	7	8	10	24:28	29
რეიმსი	24	8	5	11	28:38	29
ბულონი	25	7	6	12	26:35	27
ნეორი	25	6	5	14	22:31	23
დიჟონი	25	4	11	10	18:35	23
ლიბურნი	25	4	8	13	27:41	20
გენიონი	25	2	8	15	25:40	14

ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა. XVIII ტური

ბრნო 2:1 სლავია

სლავია	18	11	5	2	28:11	38
სპარტა	18	11	3	4	37:16	36
ტეპლიცე	18	10	3	5	25:17	33
ბანიკი	18	8	7	3	27:19	31
ბრნო	18	8	5	5	28:25	29
პლზენი	18	8	5	5	21:18	29
ბოლესლავი	18	5	8	5	20:19	23
ბუდეიოვიცე	18	6	5	7	21:21	23
ზლინი	18	6	5	7	17:22	23
სიგმა	18	4	10	4	12:15	22
ლიბერეცი	18	5	6	7	18:18	21
ჟიჟკოვი	18	5	4	9	23:35	19
იაბლონეცი	18	3	7	8	11:18	16
კლადნო	18	4	4	10	22:30	16
ბოჰემიანსი	18	3	6	9	12:24	15
მოსტი	18	2	7	9	20:34	13

პორტუგალია

სუპერლიგა. XX ტური

აკადემიკა 1:1 ბოავიშტა

1:1 ს. კაკა (56), 1:1 მატეუში (61)

პორტუ	20	16	2	2	38:7	50
ბენფიკა	20	10	8	2	32:11	38
გიმარაეში	20	10	4	6	23:23	34
სპორტინგი	20	9	6	5	27:17	33
სეტუბალი	20	7	10	3	27:20	31
მარიტიმუ	20	9	2	9	25:21	29
ბელენენსეში	20	7	8	5	20:20	29
ნასიონალი	20	7	7	6	14:13	28
ბრაგა	20	6	8	6	23:25	26
ბოავიშტა	20	5	9	6	24:31	24
ამადორა	20	4	9	7	23:25	21
აკადემიკა	20	4	9	7	20:29	21
ლეიშოეში	20	3	11	6	19:23	20
ნავალი	20	5	4	11	14:30	19
ფერეირა	20	4	4	12	19:32	16
ლეირია	20	1	5	14	16:37	8

გერმანია

II ბუნდესლიგა. XXI ტური

ლაუტერნი 2:3 კოლონია

ფლადბახი	21	10	8	3	41:26	38
მაინცი	21	10	6	5	36:21	36
ფიურტი	21	10	6	5	34:24	36
კიოლნი	21	10	5	6	38:28	35
ფრაიბურგი	21	9	7	5	31:26	34
ჰოფენჰაიმი	21	9	7	5	33:29	34
მიუნხენი	21	8	8	5	31:23	32
ვეჰენი	21	8	8	5	34:30	32
ალემანია	21	7	7	7	31:31	28
აუგსბურგი	21	7	6	8	28:30	27
კობლენცი	21	6	9	6	26:30	27
ზანკტ პაული	21	6	8	7	25:29	26
ოსნაბრიუკი	21	6	7	8	31:38	25
ოფენბახი	21	5	8	8	22:35	23
აუე	21	6	4	11	30:36	22
ლაუტერნი	21	4	7	10	22:27	19
კარლ ცაისი	21	3	6	12	30:43	15
პადერბორნი	21	2	9	10	15:32	15

ვინ არის ეს კაცი ფოტოზე?

კიდევ ერთი ძალიან სასეირო ამბავი მოხდა ინგლისში, თუმცა სეირი სეირად და ეს ისტორია ფეხბურთის სამშობლოს სხვა მხრივაც გვიხასიათებს. ერთი სიტყვით, თვალსაჩინო მაგალითია, თუმცა რისა, ამის შესახებ მსჯელობა თქვენთვის მოგვინდია. თავად ამბავი კი ასეთი გახლავთ: კვირას, „ქარლინგის თასის“ ფინალში „ტოტენჰემ ჰოთსპურმა“ „ჩელსის“ 2:1 მოუგო და, როგორც გამარჯვებულთა წესია, მატჩის შემდეგ, ჯილდოსთან ერთად ტრიუფალური, გუნდური ფოტო გადაიღო. ხსენებულ ფოტოს თქვენც ხედავთ, „სარბიელის“ მკითხველო, და, ალბათ, გაკვირვებას ვერ მალავთ: ვინ არის ის უცნაური კაცი, თითქმის შუაში, წინა პლანზე, ლამის მთელი „სფურზი“ რომ დაუფარავს? ვინ და ამ ლონდონური გუნდის თავგადაკლული გულშემატკივარი, რომელმაც ტრიბუნიდან ჩახტომა და ფოტოს გადასაღებად შეჯგუფულ ფეხბურთელებთან მირბენა მოახერხა. ერთი სიტყვით, შერეკილი ფანი, მაგრამ...

აი, ამის შემდეგ მოდის საინტერესო ამბავი: გაზეთი „სანი“, ბუნებრივია, დაინტერესდა ამ ფანის ვინაობით, იფიქრა, მოკლე ინტერვიუს ჩამოვართმევ და პატარა სახალისო წერილსაც გამოვაცხობო და... მიაგნო კიდეც. ფანი აღმოჩნდა მოქალაქე ჯასტინ კოული, „ჩელსის“ ვარსკვლავის ჯო კოულის, არც მეტი, არც ნაკლები, ბიძაშვილი.

დახეთ ბედის ირონიას! 50 762 900-მოსახლიანი ინგლისის 7 512 400-იან დედაქალაქის, 90-ათასიან სტადიონ „უემბლიზე“, მაინცდამაინც ჯოს ბიძაშვილი აღმოჩნდა „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ ფანი, მაინცდამაინც „ჩელსის“ მოუგო „ტოტენჰემ ჰოთსპურმა“ „ქარლინგის თასის“ ფინალში და მაინცდამაინც ჯასტინ კოულმა მოახერხა „უემბლის“ მოედანზე საყვარელ გუნდთან ჩახტომა და ფოტოზე მოხვედრა.

„ბოდიში, ჯო, მაგრამ როდესაც საქმე ფინალზე მიდგება, ჯერ ბავშვობის სიყვარული და მერე ოჯახი“ — შეუთვალა ჯასტინმა ბიძაშვილს „სანის“ პირით.

მაინც, რამ გააბედინა ჯასტინ კოულს ასე დაცულ „უემბლის“ სარბიელზე ჩახტომა და ფეხბურთელებთან მიჭრა? „ჩელსის“ ვარსკვლავის 38 წლის ნათესავი ამ, მართლაც მეტისმეტად ემოციურ ნაბიჯს მამამისის, ანუ ჯოს ბიძის, 2006 წელს გარდაცვლილი ბილი კოულის ხსოვნას უძღვნის:

„ისე, როგორც კოულების მთელი ოჯახი, მამაჩემიც „ტოტენჰემით“ ცოცხლობდა და სუნთქავდა. დარწმუნებული ვარ, ჯო ყველაფერს გამიგებს. ჩემი ბიძაშვილი პატარაობიდან ჩემს თვალწინ იზრდებოდა, მაგრამ რა ვქნა, ჩვენ „სფურზის“ სიყვარულს თაობიდან თაობას გადავცემთ. ჰოდა, როგორც კი იმ დღეს მსაჯის საფინალო სასტვენის ხმა გავიგე, გავიფიქრე, „ამას შენ გიძღვნი, მამა!“ და მოედანზე ჩავხტი“.

კიდევ იმის თქმა შეგვიძლია, რომ ჯასტინ კოული ბავშვთა მწვრთნელია და თავის მოსწავლეებთან პირველივე შეხვედრისას მათთვის იმის თქმას აპირებს, რომ ის, რაც მან გააკეთა, სულაც არ არის კარგი საქციელი.

პაპუნა კედია

ტიერი ანრის ზურგზე კრუიფი შემთხვევით აწერია

ინტერვიუში, რომელიც „ბარსელონას“ ვებგვერდზე გამოქვეყნდა, ტიერი ანრი ახალ გუნდში გატარებულ თვეებს აფასებს. ფრანგი ჯერჯერობით ისე ვერ ბრწყინავს, როგორც „არსენალში“, მაგრამ 29 მატჩში 13 გოლი მაინც მოასწრო



— „ბარსელონაში“ გატარებულმა შვიდმა თვემ რა მოგცათ?

— ჯერჯერობით პირად მიღწევებზე საუბარი ნაადრევია. რამის თქმა თუ შემიძლია, მხოლოდ გუნდზე. კარგია, რომ „რეალთან“ სხვაობა ორ ქულამდე შევამცირეთ, ესპანეთის თასის ნახევარფინალშიც გავედით და ჩემპიონთა ლიგის პირველი მერვედფინალური მატჩიც მოვიგეთ. შედეგების გაუმჯობესება კიდევ შეგვიძლია, მაგალითად, „რეალს“ უნდა გავასწროთ. ამ დროისთვის აშკარად აღმავლობის გზაზე ვართ.

— ბარსელონაში ცხოვრება როგორია?

— სასიამოვნოა, მუდამ დარია. გაიღვიძებ — მზე ანათებს. ვარჯიშობ და ისევ მზეა...

— ლონდონს არ ჰგავს...

— ლონდონი ჩემს გულში სამუდამოდაა. მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ქალაქია. მენატრება ხოლმე, მაგრამ ბარსელონას ცა არაჩვეულებრივია. და კიდევ — აქაური ქომაგების ემოციურობა მაკვირვებს.

— ინგლისელი გულშემატკივარიც არანაკლებ ემოციურია, ამას ხომ პრემიერლიგაშიც მიეჩვიეთ...

— არა, აქ ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს მთელი ქვეყნისთვის ვთამაშობ. ამას ქალაქშიც კი ვგრძნობ, როცა ხალხს ვხვდები. აქ „ბარსელონა“ უყვართ და ამიტომ შენც უყვარხარ. ცუდი მატჩის შემდეგ ქომაგები უკმაყოფილებას არ მალავენ, მაგრამ ქუჩაში შეხვედრისას ერთგულებას გიმტკიცებენ — შენც და გუნდსაც. მათთვის „ბარსა“ რაღაც განსაკუთრებულია და ეს ყველა ფეხბურთელზე მოქმედებს.

— გასახდელში რა ხდება?

— სამწუხაროდ, არის ხალხი, რომელიც გუნდში ვითარების არევას ნატრობს. ამასთან დაკავშირებით იყო ერთი ეპიზოდი, რის გამოც „სარაგოსასთან“ მატჩის შემდეგ მედიისთვის ახსნა-განმარტება მომიწია. „ბარსელონაში“ მოსვლის დღიდან გუნდის შიგნით არანაირი პრობლემა არ ყოფილა. ყველა ღიმილიანია, ყველა ერთადაა და ყველაფერი კარგადაა. ცხოვრება დუღს.

— ლილიან ტურამი თქვენთვის სამაგალითოა?

— მხოლოდ ჩემთვის კი არა, ალბათ, ნებისმიერი ფეხბურთელისთვის მსოფლიოში. 11 წელია, ერთმანეთს ვიცნობთ. მოედანზე მისი ყოფნა ნებისმიერი თანაგუნდელისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ტურამის კარიერა ჩვენთვის სამაგალითოა, მისი რჩევები — ფასდაუდებელი. ლილიანი ხომ მდიდარი გამოცდილების პატრონია.

— „სელტიკთან“ ისეთი გაიტანეთ, „არსენალში“ ბევრჯერ რომ შეგისრულებიათ...

— არა, არა და არა. ეს წმინდა ბარსელონური გოლია. მატჩის შემდეგ რვა-ცხრა კაცმა მითხრა, „არსენალის“ სტილში იყოო, მაგრამ არ ვეთანხმები. „არსენალი“ წარსულია და ახლა ბარსელონური გოლები გამაქვს.

— გოლის მერე თითი ტუჩებზე მიიდეთ, თითქოს გულშემატკივრებს აჩუმებდით...

— ეს მხოლოდ აღნიშვნის წესია და მეტი არაფერი. ასე ვაკეთებდი „არსენალშიც“.

— რას ნიშნავს თქვენთვის გოლი?

— ბურთი კარის ხაზს რომ გადაკვეთს...

— 14-ნომრიანი მაისურა კრუიფის გამო აირჩიეთ?

— არა, ჩემი საყვარელი ნომერია 12, მარკო ვან ბასტენის გამო. ბავშვობაში ჩემი კერპი იყო. „აიაქსში“ მისი თამაში კარგად არ მახსოვს, მაგრამ ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შემდეგ მოჯადოებული დავრჩი. ვან ბასტენი ნაკრებში 12 ნომრით თამაშობდა. რაც შეეხება 14-ს, ამ ნომრის ამბავი არსენალურია. 12-იანი იან რაიტს ეცვა და კლუბის პრეზიდენტმა მე შემომთავაზა, მაგრამ დავიმორცხვე და 14-იანი ვარჩიე.. თანაგუნდელისთვის ნომრის წართმევა არასწორი იქნებოდა.

— როცა მედია გაკრიტიკებდათ, იოჰან კრუიფმა სიტყვა შეგაწიათ. როგორ ფიქრობთ, რატომ?

— ამაზე არ მიფიქრია. ალბათ, იცოდა, რომ ტრავმიანი ვთამაშობდი. ეგებ მას ჰქონდა ის ინფორმაცია, რაც ჟურნალისტებისთვის უცნობი იყო. როცა საჯაროდ ჩემს მხარდასაჭერად გამოვიდა, გავოცდი. არადა, ძალიან მინდოდა, ვინძეს ჩემი გარჯა დაეფასებინა, მე ხომ ვრისკავდი და მოედანზე ფეხმტკივანი გავდიოდი.

— რატომ გარისკეთ?

— ახალ გუნდში მივედი და ნებისმიერ ფასად თამაში მსურდა. შესაძლოა, ეს ჩემი მხრიდან შეცდომა იყო, მაგრამ გული მეუბნებოდა, ყველაფერი დაივიწყე და ითამაშეო.

მსაჯებზე წიგნს დავწერ

იუვეს წერილმა სერია გადარია

„რეჯინა“ — „იუვენტუსის“ მატჩს (2:1) და ტურინელთაგან ფეხბურთის ფედერაციაში გაგზავნილ წერილს ამბები მოჰყვა. შეგახსენებთ, რომ „იუვემ“ მსაჯისგან (პაოლო დონდარინი) თავი დაჩაგრულად იგრძნო და ფედერაციას მიმართა. დონდარინიმ, სულ მცირე, ორი პენალტი არ მოგვცა, ჩვენს კარში კი ბოლო წუთზე მოგონილი თერთმეტმეტრიანი დანიშნაო. კლუბის პრეზიდენტმა ჯოვანი ჯილი კობოლიმ უცხოელი არბიტრების მოწვევაზეც ილაპარაკა.

ბოლო წუთზე პენალტის გამტანმა რეჯინელმა ნიკოლა ამორუზომ განაცხადა: „მოჰამედ სისოკომ ბურთის მოგერიება მაკრატელათი სცადა, მაგრამ ბურთს ააცილა და ფეხი ხელში ისე ძლიერად მომხვდა, რამდენიმე ადგილას ქაცვებისგან დამილურჯდა. ეს აშკარა პენალტი იყო, მაგრამ იმასაც ვაღიარებ, რომ მანამდე მსაჯს სისოკოს წაქცევისთვის თერთმეტმეტრიანი ჩვენს კარშიც უნდა დაენიშნა“.

არბიტრებთან პრეტენზიები ადრე „რეჯინასაც“ ჰქონდა, თუმც ფედერაციაში წერილები არ მიგვიწერია. რაც შეეხება კრისტიანო ძანეტის, რომელიც ჩემთან უხეშობისთვის გააძევეს, ნამატჩევს გასახდელში შემოვიდა და მომიბოდიშა“.

დავიდ ტრეზეგეს ამ მატჩში არ უთამაშია, მაგრამ გულისტკივილი გაამხილა: „ეს უკვე ნამეტანია. გვიხსნიდნენ, რომ მსაჯები ახალგაზრდები არიან და გამოცდილება აკლიათო და ჩვენც გაგებით ვეკიდებოდით, მაგრამ სულ ასე ხომ არ უნდა გაგრძელდეს? ძალიან ბევრს ველით პიერლუიჯი კოლინისგან (მსაჯთა დამნიშვნელი), რომელიც, ალბათ, სათანადო ზომებს მიიღებს“.

წერილებით საქმის გარჩევას „ინტერის“ დირექტორი ერნესტო პაოლილო აპროტესტებს: „დარწმუნებული ვარ, ამით მსაჯებს კიდევ უფრო მეტად დააჭერენ წიხლს, რაც მათ სანერვიულოს მოუმატებს და შეცდომებიც მოუმრავლდებათ. ადრე თუ გვიან, ნებისმიერ გუნდს აქვს შანსი, წააგოს მსაჯის შეცდომის გამო, მაგრამ სისულელეა იმაზე საუბარი, რომ „იუვეს“ ძველი ცოდვებისთვის სჯიან“.

„რეჯინას“ პრეზიდენტი ლილო ფოტი: „უცხოელი არბიტრების მიწვევა შესაძლებელია, მაგრამ ეს პრობლემას არ მოაგვარებს. პიერლუიჯი კოლინამ და მისმა გუნდმა მეტი უნდა იმუშაონ, ჩვენც დავეხმარებით და ვითარება გამოსწორდება. საჭიროა სიმშვიდე, რაც ძალიან გვაკლია. მსაჯებს უნდა ვაცალოთ, კალჩოპოლის სკანდალის შემდეგ მათ გონზე მოსვლა ხჭირდებოდა“.

გუშინდელი ტურინული დერბის წინ „ტორინოს“ ფანთა [illegible] ნიკური განცხადება გააკეთეს. „საწყალი „იუვენტუსი“! მათ ისევე ექცევიან, როგორც სხვებს. როგორ შეიძლება! ასი წლის განმავლობაში ყველანაირი წესები ფეხებზე ეკიდათ, მაგრამ კალჩოპოლიმ ციდან მიწაზე დაანარცხა და ახლა აღმოაჩინეს, რომ თურმე ყველა მათ წინააღმდეგ ყოფილა“.

„ტორინოს“ პრეზიდენტი კი წერილმა გააბრაზა: „დერბის წინ „იუვესგან“ ასეთი საქციელი მიუღებელია. ამ წერილით მსაჯებზე ზემოქმედებას ცდილობენ და თამაშის წინ მსგავსი რამ უნდა იკრძალებოდეს. „იუვენტუსს“, ალბათ, აქვს საპროტესტო მიზეზი, მაგრამ ეს არც სხვა გუნდებს აკლიათ“.

„ჯენოას“ პატრონი ენრიკო პრეციოზი: „ეს წერილი სისულელეა. თუ „იუვენტუსი“ მსაჯობას იწუნებს, ჩვენ რაღა ვქნათ? არბიტრებისგან „ჯენოას“ ჩაგვრის ფაქტები რომ ჩამოვწერო, დიდი წიგნი გამოვა“.

„გაძეტა დელო სპორტის“ ცნობით კი, გამორიცხული არაა, პაოლო დონდარინი ორი თვით სერია B-ში „ჩააყუდონ“ და ცუდი მსაჯობისთვის დასაჯონ. ასე მოექცნენ მაურო ბერგონცის, რომელმაც „ნაპოლი“ — „იუვენტუსის“ მატჩში მასპინძელთა სასარგებლოდ ორი პენალტი მოიგონა.

ვაჟა ხუციშვილი

მარკო ვან ბასტენი

სამთავიანი აიაქსი

მარკო, ჯონი და რობერტი

მომავალი ევროპის ჩემპიონატის შემდეგ მარკო ვან ბასტენი ნაკრებიდან წავა და „აიაქსის“ მწვრთნელი გახდება, რომელთანაც ოთხწლიანი კონტრაქტი ოფიციალურად გააფორმა.

43 წლის ჰოლანდიელი საქმეს 1 ივლისიდან ჩაიბარებს. მასთან ერთად კლუბში მივლენ თანაშემწეები — ჯონ ვანტ სხიპი და რობერტ ვიჩგე. ვან ბასტენი და ვანტ სხიპი 2003-04 წლების სეზონში „აიაქსის“ ახალგაზრდულ გუნდში ერთად მუშაობდნენ და ევრო 2004-ის მერეც ნაკრებს ერთად ხელმძღვანელობდნენ.

მარკო ვან ბასტენის ხელში ჰოლანდიამ მსოფლიოს განვლილ ჩემპიონატზე მეოთხედფინალში პორტუგალიასთან წააგო, წლეულს კი, ევრო 2008-ზე ჯგუფში იტალია, საფრანგეთი და რუმინეთი ჰყავს.

„აიაქსში“ ყველას ჰოლანდიის ჩემპიონობა უნდა და მეც იგივე მიზანი მაქვს. ნებისმიერი მწვრთნელისგან ამას მოითხოვდნენ. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო იმის ცოდნა, თუ რა რესურსი მექნებოდა მუშაობისთვის და კონტრაქტის გაფორმებაც ოდნავ ამიტომ შეფერხდა“ — განაცხადა ვან ბასტენმა, რომელსაც „აიაქსში“ 128 გოლი გაუტანია.

ამჟამად ამსტერდამელებს ადრი კოსტერი თავკაცობს, რომელმაც „ჩელსიში“ წასული ჰენკ ტენ კატე შეცვალა. კლუბის ტექნიკურმა დირექტორმა მარტინ ვან გეელმა თქვა: „ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგან გუნდში სამი ამბიციური მწვრთნელი იმუშავებს, რომლებიც „აიაქსის“ ყოფილი ფეხბურთელები არიან. თავის დროზე, სამივე ბრწყინავდა ევროპაში და ახლა საკმაო სამწვრთნელო გამოცდილებაც მიიღეს“.

ვაჟა ხუციშვილი

ამაური კამორანეზი გახდებაო

როგორც ჩანს, უახლოეს ხანში იტალიის ნაკრებში მეორე ნატურალიზებული ფეხბურთელის გამოჩენას უნდა ველოდოთ. საქმე ისაა, რომ იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ „პალერმოს“ ბრაზილიელ თავდამსხმელ კარვალიო ამაურის იტალიური პასპორტის აღება შესთავაზა.

ფორვარდი, რომელიც ახლა, სულ ცოტა, 25 მილიონი ევრო ღირს და რომელზეც არაერთი ევროგრანდი ნადირობს, აპენინებზე 2001 წელს ჩავიდა. ბრაზილიელმა მოიარა „ნაპოლი“, „პიაჩენცა“, „ემპოლი“ და როცა „კიევომ“ იგი „პალერმოს“ მილიონ ევროდ მიჰყიდა, საკუთარი თამაში სწორედ ამ სიცილიურ კლუბში იპოვა.

ფეხბურთის ფედერაციამ თავდამსხმელს ჯერ კიდევ 4 თვის წინ შესთავაზა იტალიის მოქალაქეობის მიღება, ეგებ, ევრო 2008-ზე თამაშის შანსიც გაგიჩნდესო. ამ ხნის მანძილზე ამაური მტკიცედ აცხადებდა — „მე ბრაზილიელი ვარ“, მაგრამ ახლა, ეტყობა, „მოტყდა“ და...

„ვფიქრობ, რომ იტალიური პასპორტის აღება მისთვის პრობლემა არ იქნება. უკვე მრავალი წელია, ამაური იტალიაში ცხოვრობს, თანაც მეუღლე იტალიელი ჰყავს“ — ამბობს იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ჯანკარო აბეტე.

ისე, აბეტე კია დაინტერესებული ამაურის „გაიტალიელებით,“, მაგრამ „სკუადრა აძურას“ მწვრთნელ რობერტო დონადონის აზრი ჯერაც უცნობია — სჭირდება კი ამაური ნაკრებში?

ასე თუ ისე, ფაქტი ერთია: თუ კარვალიო ამაურიმ თანხმობა განაცხადა, როგორც თავში ვთქვით, იტალიის ნაკრებში მოთამაშე მეორე ნატურალიზებული ფეხბურთელი გახდება. პირველი, გეცოდინებათ, „იუვენტუსის“ ნახევარმცველი, წარმოშობით არგენტინელი მაურო კამორანეზია.

გიორგი ვაშაკიძე

ღრიალი 24 საათით ადრე

რაც იყო მოსალოდნელი, სწორედ ის დაიწყო: „ჩელსიში“ არცთუ დიდი ხნის წინ მიყვანილმა ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ჰენკ ტენ კატემ სკანდალებში გაჰყო თავი. მოგეხსენებათ, ავრაამ გრანტის თანაშემწე ტენ კატე საძაგელი ხასიათით და დაუსრულებელი კონფლიქტებით არის ცნობილი და ლონდონში გადაბარგების მერე, აბა, რა გამოასწორებდა, ოქტომბრიდან თებერვლამდე კიდევ კარგად მოითმინა...

და, რაც ყველაზე საინტერესოა, ჰოლანდიელმა სპეციალისტმა ჩხუბისათვის, არც მეტი, არც ნაკლები, „ლურჯების“ კაპიტანი ჯონ ტერი შეარჩია — ტენ კატესა და ტერის შეტაკებას ვარჯიშისას მთელი გუნდი უყურუბდა და პირი ჰქონდა დაღებული, თუმცა გუნდი რაა, ამ ყველაფრის მომსწრე თავად კლუბის პატრონი, ჩუკოტკის გუბერნატორი რომან აბრამოვიჩი ყოფილა.

ეს გასაოცარი ამბავი შაბათს მოხდა, „ქარლინგის თასზე“ „ჩელსისა“ და „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ ფინალური დაპირისპირების დაწყებამდე 24 საათით ადრე. შუბლიშუბლზე მიდებული ტენ კატე და ტერი ერთმანეთს უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდნენ, ფეხბურთელები კი მათ ერთმანეთისგან დაცილებას ცდილობნენ.

მიზეზი, როგორც ეტყობა, ის გახლდათ, რომ ტერის არა და არ უთხრეს, ათამაშებდნენ „ტოტენჰემის“ წინააღმდეგ თუ არა. ის კი არა, კაპიტანი ისე გაცეცხლდა, რომ ერთი ხნის შემდეგ ტენ კატეს ბოდიში და შერიგების წინადადებაც კი არ მიიღო. ჩხუბის ერთ-ერთმა მოწმემ ჟურნალისტებს ასე უამბო:

„ვარჯიში უკვე დასასრულს უახლოვდებოდა და საქმე „უემბლის“ თამაშის წინ ბოლო შტრიხების გამოყვანისკენ მიდიოდა, როდესაც დიდი სკანდალი ატყდა. სხვათა შორის, „ჩელსის“ ყველა მოთამაშე გახლდათ უკმაყოფილო ბოლოდროინდელი ვარჯიშების ერთგვარი ქაოტურობით. ფეხბურთელებში უსიამოვნება ირგძნობოდა, რადგან არავინ იცოდა, რა შემადგენლობით აპირებდა მათი გუნდი „ტოტენჰემთან“ თამაშს. ყველა ცდილობდა, ამოეცნო, რა შემადგენლობას დაასახელებდა მწვრთნელი და ამ გაუგებრობამ ბოლოს ჯებირები გადაანგრია. აი, ამ დროს ერთმანეთს ტერი და ტენ კატე შერჩნენ პირისპირ. კამათი რომ დაიწყო, უკან დახევა არც ერთმა ინება და არც მეორემ. და, რაც ყველაზე სამწუხაროა, სწორედ ამ ვარჯიშს ბატონი აბრამოვიჩი ესწრებოდა“.

პაპუნა კედია



მსაჯებზე კაკაც კაკანებს

„მილანის“ ბრაზილიელმა ლიდერმა კაკამ, რომელიც ახლა ტრავმირებულია, მოულოდნელად მსაჯებს შეუტია. „როსონერის“ ნახევარმცველი აქამდე, როგორც წესი, „შავოსანთა“ საქმიანობაზე კომენტარისგან თავს იკავებდა, ახლა კი ამბობს: „ის, რაც ამ ბოლო დროს ძალიან გახშირდა, არ მომწონს. მსაჯებზე აქამდე ხმას არ ვიღებდი, მაგრამ იძულებული ვარ, ვთქვა: „მე რომ ახლა ტრავმირებული ვარ, მათი „დამსახურებაა“. მეტოქეები რომ ორთაბრძოლისას ფეხებში გამეტებით მირტყამენ, მსაჯებს ასეთი ეპიზოდები რატომღაც გამორჩებათ ხოლმე. სწორედ ამის მსხვერპლი ვარ. „პალერმოსთან“ შესვენებისას შეცვლა თავად ვითხოვე. მუხლი ისე მტკიოდა, თამაშის გაგრძელება არ შემეძლო. მეტის მოთმენა არ შეიძლება, ასე აღარ უნდა გაგრძელდეს“.

დღეს „მილანი“ სერია A-ს 25-ე ტურში „კატანიას“ სტუმრად ეთამაშება და კაკა რომ განაცხადში საერთოდ არ იქნება, 100 პროცენტითაა გადაწყვეტილი. ეს კი არა, „როსონერის“ ექიმები ფიქრობენ, ბრაზილიელი „ლაციოსთან“ შაბათის შეხვედრისთვისაც დაასვენონ, რათა ფეხბურთელი ლონდონის „არსენალთან“, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის საპასუხო შეხვედრისთვის მოამზადონ. „მილანის“ ლაზარეთში, გეცოდინებათ, კაკას გარდა კიდევ ოთხი ფეხბურთელია: მეკარე დიდა, რონალდო, ალესანდრო ნესტა და კლარენს ზეედორფი.

გიორგი ვაშაკიძე

ყვითელი ბარათი ესპანეთს

ფიფას გაფრთხილება ესპანეთის მთავრობამ ყურიდან ყურში გაუშვა და ამის გამო ლუის არაგონესის ნაკრები, შესაძლოა, ევრო 2008-იდან მოხსნან. შეგახსენებთ, რომ მთავრობამ სპორტის ყველა იმ სახეობის ფედერაციას, რომლებსაც პეკინის ოლიმპიადის ლიცენზია ვერ მოიპოვეს, ვადამდელი არჩევნების ჩატარება ივლისამდე უბრძანა. მათ შორისაა ფეხბურთის ფედერაციაც. ფიფამ ერთხელ უკვე გააფრთხილა ესპანელები, ფედერაციის საქმეში არ ჩაერიოთო და ახლა თავი მეორედ შეახსენა. 14 მარტს ფიფას აღმასკომის სხდომა გაიმართება და თუ პრობლემა მანამდე არ მოგვარდება, ნაკრები ევრო 2008-ის მიღმა დარჩება.

მოგკლავთ!

„ბირმინგემის“ მცველ მარტინ ტეილორს ხორვატი ფანები მოკვლით ემუქრებიან. ტეილორმა „არსენალის“ და ხორვატიის ნაკრების ფორვარდ ედუარდოს ფეხი მოტეხა, რის გამოც ფეხბურთელს თითქმის წელიწადი და მათ შორის ევროპის ჩემპიონატი გაუცდება. ედუადრდო ნაკრების მთავარმეგოლეა და გუნდს ძალიან დააკლდება. ერთ-ერთ ფანურ ვებგვერდზე მუქარის 27 ათასი მესიჯი მისულა, ტეილორის ოჯახი კი დაშინებულია.

თავდამსხმელის თავდასხმა

„ბარნლიში“ განათხოვრებული „სანდერლენდის“ ფორვარდი ენდი კოული სამშობათს დილით საკუთარ ცოლს თავს დაესხა. „მანჩესტერის“ ყოფილი მეგოლე ღამე შინ მივიდა და მეუღლის საცემად იქაჩებოდა. ქალმა პოლიცია გამოიძახა, რომელმაც ნასვამი კაცი წაათრია. 36 წლის კოული დაკითხეს და დილით თავდებით გაუშვეს.

სლომკა შეაჯანჯღარეს

„შალკეს“ მწვრთნელ მირკო სლომკას ულტიმატუმი წაუყენეს — მომდევნო ორ მატჩს თუ წააგებს, მოხსნიან. „ლევერკუზენთან“ მარცხის შემდეგ გუნდი „ბაიერნს“ ცხრა ქულით ჩამორჩა, ფანები კი სლომკას გაშვებას ითხოვენ. „ბილდის“ ცნობით, კლუბის გენერალური მენეჯერი ანდრეას მიულერი უკვე ახალ მწვრთნელს ეძებს. მომდევნო ტურში „შალკე“ „ბაიერნს“ მასპინძლობს, მერე კი ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის საპასუხო მატჩი „პორტუსთან“ სტუმრად ელის.

გაგა ხუციშვილი

როკი-შფოთი

ტომაზო როკის, „ლაციოს“ თავდამსხმელს, ცოტა ხნის წინ გუნდთან გაფორმებული ახალი კონტრაქტი, ვინძლო სანანებელი გაუხდეს. საქმე, აი, რაშია: ორშაბათს კალიარიდან დაბრუნებულ „ლაციოს“ რომის აეროპორტში გავეშებულ ტიფოზთა არმია დახვდა. მწვრთნელებს და ფეხბურთელებს ქომაგებმა სარდინიაზე 0:1 მარცხი არ აპატიეს. გულშემატკივრები გუნდს აეროპორტიდან „ლაციოს“ საწვრთნელ ბაზა „ვორმელოშიც“ გაჰყვნენ და იქ ატყდა ამბავი, თუ ატყდა. დედისგინება, გამიშვი-არგაგიშვებ და გაქაჩვა მწვრთნელმა დელიო როსიმ და ფეხბურთელებმა — ტომაზო როკიმ, სტეფანო მაურიმ და კრისტინ ლედესმამ იწვნიეს. ტიფოზები, ეს რომ არ იკმარეს, კვერცხების სროლაზეც გადავიდნენ...

„აღშფოთებული ვარ მათი საქციელით“ — მხოლოდ ეს ამოღერღა მწვრთნელმა, ხოლო ტომაზო როკიმ კი ირონიულად თქვა: „ეტყობა, ქომაგებს ჩემი ახალი კონტრაქტი არ მოეწონათ. სერიოზულად კი, გასაგებია, ისინი აღშფოთებულნი არიან „ლაციოს“ შედეგებით. ჯერჯერობით ვერ ვთამაშობთ ისე, როგორც საჭიროა და ამიტომ ვერ ვიგებთ, მაგრამ მათ საქციელსაც ვერ გავამართლებ. ბევრი გუნდი ვიცი, რომელთა გულშემატკივრები გასაჭირშიც ვერდით უდგანან, ამათ კი, ვერ ვხვდები, რა დაეძართათ“.

24 ტურის შემდეგ „ლაციო“ 26 ქულით იტალიის ჩემპიონატის ცხრილის მე-13 ადგილზეა. დღეს „ბიანკოჩელესტი“ „სტადიო ოლიმპიკოზე“ „რეჯინას“ ისტუმრებს და მასაც თუ ვერ მოუგო...

გიორგი ვაშაკიძე

ხელები კამერაში

გერმანიის ფეხბურთის ასოციაცია მარკ ვან ბომელს ხელ-მკლავის ახსნა-განმარტებას სთხოვს. ჰოლანდიელმა ფეხბურთელმა საქციელი წერილობით უნდა ახსნას და სადისციპლინო კომიტეტს გაუგზავნოს.

„ჰამბურგთან“ მატჩში ვან ბომელი ორი ყვითელი ბარათის გამო გააძევეს: ჯერ აუტს ედავებოდა მსაჯს (ლუც ვაგნერს) და ამიტომ გააფრთხილეს, მეორედ კი მატჩის ბოლოს, როცა არბიტრის გადაწყვეტილებას ტაში დაუკრა.

„გაწითლებულმა“ ჰოლანდიელმა ალენდნიდან გასვლის წინ ვაგნერს ‘ურგსუკან ჩაუარა და რაც გააკეთა, სურათზე ხედავთ. მსაჯმა ეს ვერ შენიშნა, მაგრამ ტელეკამერამ „გამოიჭირა“. ფეხბურთელს, რომელსაც ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს, შესაძლოა, კიდევ რამდენიმე დაუმატონ უხამსი ჟესტის გამო.

კლუბმა ვან ბომელს ფულადი ჯარიმა „ააკრა“, რადგან ოტმარ ჰიცფელდის კანონებით, ასეთი რამეები ისჯება.

გაგა ხუციშვილი

სარბიელი და კროკი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		1 მარტი						
19:00	2	ვესტ ჰემი-ჩელსი	4.10	3.20	1.80	1.79	1.25	1.15
19:00	3	არსენალი-ასტონ ვილა	1.45	3.70	6.70	1.04	1.19	2.38
19:00	4	ბირმინგემი-ტოტენჰემი	3.70	3.30	1.90	1.74	1.25	1.20
19:00	6	დერბი-სანდერლენდი	3.00	3.20	2.20	1.54	1.26	1.30
19:00	8	ფულემი-მანჩესტერი	8.00	4.70	1.30	2.96	1.11	1.01
21:15	9	სიტი-უიგანი	1.55	3.40	5.90	1.06	1.22	2.15
19:00	10	მიდლსბრო-რედინგი	1.70	3.40	4.50	1.13	1.23	1.93
19:00	11	ნიუკასლი-ბლექბერნი	2.45	3.20	2.60	1.38	1.26	1.43
		2 მარტი						
17:30	5	ბოლტონი-ლივერპული	4.70	3.60	1.60	2.03	1.19	1.10
20:00	7	ევერტონი-პორტსმუთი	1.80	3.30	4.10	1.16	1.25	1.82
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		1 მარტი						
19:00	12	პრესტონი-კრ. პალასი	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
19:00	14	სკანთორპი-ქოვენთრი	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46
19:00	15	შეფილდი-ჩარლტონი	2.35	3.20	2.70	1.35	1.25	1.46
19:00	16	საუთჰემპტონი-იფსვიჩი	2.45	3.20	2.55	1.38	1.24	1.41
19:00	17	ბარნსლი-უენსდი	2.00	3.30	3.20	1.24	1.23	1.62
19:00	18	ვესტ ბრომვიჩი-პლიმუთი	1.70	3.30	4.40	1.12	1.22	1.88
19:00	19	ბრისტოლი-ჰალი	1.75	3.30	4.10	1.14	1.22	1.82
19:00	20	ბარნლი-უოტფორდი	2.40	3.20	2.60	1.37	1.24	1.43
19:00	21	კარდიფი-ლესტერი	1.80	3.30	3.90	1.16	1.23	1.78
19:00	22	კოლჩესტერი-ვულვერჰემპტონი	2.60	3.20	2.40	1.43	1.24	1.37
19:00	23	ნორვიჩი-ბლეკპული	1.75	3.30	4.10	1.14	1.22	1.82
		2 მარტი						
17:15	13	ქპრ-სტოკი	2.50	3.20	2.50	1.40	1.25	1.40
		შოტლანდია. პრემიერლიგა						
		27 თებერვალი						
23:45	100	დანდი იუნ.-სტ.მირენი	1.75	3.40	4.25	1.15	1.23	1.88
23:45	101	ფოლკირკი-ჰიბერნიანი	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
23:45	102	გრეტნა-კილმარნოკი	3.00	3.20	2.15	1.54	1.25	1.28
23:45	103	ჰართსი-რეინჯერსი	5.00	3.50	1.65	2.05	1.24	1.12
23:45	104	აბერდინი-მოზერუელი	2.25	3.20	2.90	1.32	1.26	1.52
23:45	105	სელტიკი-ინვერნესი	1.17	6.00	12.00	1.00	1.06	4.00
		შოტლანდია. II დივიზიონი						
		27 თებერვალი						
23:45	89	ეარი-ერდრი	3.60	3.50	1.85	1.77	1.22	1.21
		ავსტრია. ბუნდესლიგა						
		27 თებერვალი						
22:30	164	ზალცბურგი-ალტახი	1.25	5.00	11.00	1.00	1.12	3.43
22:30	165	ტიროლი-აუსტრია	2.70	3.10	2.45	1.44	1.28	1.36
22:30	166	ლინცერი-მატერსბურგი	2.05	3.20	3.40	1.24	1.27	1.64
22:30	168	რაპიდი-რიდი	1.40	3.80	7.00	1.02	1.16	2.46
		იტალია. სერია A						
		27 თებერვალი						
23:30	183	ჯენოა-ნაპოლი	2.05	2.90	3.80	1.20	1.33	1.64
23:30	184	ლაციო-რეჯინა	1.60	3.40	5.80	1.08	1.25	2.14
23:30	185	ინტერი-რომა	2.00	3.00	4.00	1.20	1.33	1.71
23:30	186	ატალანტა-სამპდორია	2.40	2.90	2.90	1.31	1.31	1.45
23:30	188	პარმა-უდინეზე	2.55	2.90	2.85	1.35	1.34	1.43
23:30	189	სიენა-კალიარი	1.85	2.90	5.00	1.12	1.35	1.83
23:30	190	პალერმო-ემპოლი	1.80	3.10	4.70	1.13	1.30	1.86
23:30	191	ფიორენტინა-ლივორნო	1.50	3.60	6.50	1.05	1.21	2.31
23:30	192	კატანია-მილანი	4.75	3.10	1.80	1.87	1.30	1.13
		ესპანეთი. I დივიზიონი						
		1 მარტი						
23:00	224	ატლეტიკო-ბარსელონა	3.45	3.20	2.05	1.66	1.28	1.24
23:00	230	უელვა-რეალი	3.80	3.20	1.90	1.73	1.26	1.19
23:45	231	ესპანიოლი-ვალენსია	2.35	3.10	2.85	1.33	1.28	1.48
23:00	232	დეპორტივო-სევილია	3.00	3.10	2.30	1.52	1.30	1.32
		2 მარტი						
20:00	223	ლევანტე-სარაგოსა	3.20	3.20	2.15	1.60	1.28	1.28
22:00	225	ვილიარეალი-ოსასუნა	1.65	3.40	5.00	1.11	1.24	2.02
23:45	226	ალმერია-ბილბაო	2.10	3.20	3.30	1.26	1.28	1.62
20:00	227	ვალიადოლიდი-რასინგი	2.35	3.10	3.00	1.33	1.31	1.52
20:00	228	ბეტისი-მურსია	1.80	3.30	4.25	1.16	1.26	1.85
20:00	229	ხეტაფე-მალიორკა	2.05	3.20	3.40	1.24	1.27	1.64
		ჰოლანდია. I დივიზიონი						
		29 თებერვალი						
23:30	283	ვიტესი-ვენლო	1.50	3.80	5.50	1.07	1.17	2.24
		1 მარტი						
22:30	284	ბრედა-სპარტა	1.50	3.70	5.70	1.06	1.18	2.24
22:30	285	ტვენტე-ჰერენვენი	2.15	3.30	3.00	1.30	1.25	1.57
22:30	286	გრაფსხაპი-ტილბურგი	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
22:30	287	როდა-ალკმაარი	2.15	3.20	3.10	1.28	1.26	1.57
		2 მარტი						
17:30	288	უტრეხტი-პსვ	4.50	3.50	1.65	1.96	1.20	1.12
17:30	289	ფეიენოორდი-ნაიმეგენი	1.25	5.20	8.20	1.00	1.08	3.18
17:30	290	აიაქსი-ექსელსიორი	1.15	6.50	11.00	1.00	1.04	4.08
17:30	291	გრონინგენი-ჰერაკლესი	1.35	4.40	7.20	1.03	1.13	2.73
		საბერძნეთი						
		1 მარტი						
18:45	318	ერგოტელისი-პაოკ	3.10	3.10	2.15	1.54	1.26	1.26
21:00	319	ოლიმპიაკოსი-ასტერას ტრიპოლისი	1.15	6.00	12.00	1.00	1.04	4.00
		2 მარტი						
17:00	320	ლევადეიაკოსი-ოფი	2.15	3.00	3.20	1.25	1.28	1.54
17:00	321	ქსანთი-პანიონიოსი	2.05	2.90	3.60	1.20	1.30	1.60
18:45	322	კალამარია-ვეროია	1.85	3.10	4.00	1.15	1.26	1.74
18:45	323	ლარისა-ირაკლისი	1.75	3.20	4.20	1.13	1.23	1.81
21:00	324	აეკ-პანათინაიკოსი	2.50	2.90	2.70	1.34	1.29	1.39
21:00	325	არისი-ატრომიტოსი	1.50	3.50	6.00	1.04	1.20	2.21
		ურუგვაი						
		27 თებერვალი						
23:00	747	მირამარი-დანუბიო	4.40	3.40	1.70	1.91	1.22	1.13
23:45	748	ნასიონალი-ფენიქსი	1.40	4.00	7.00	1.03	1.16	2.54
		ჩილე						
		27 თებერვალი						
23:45	382	მელიპილა-აუდასი	4.50	3.30	1.70	1.90	1.23	1.12

შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		გერმანია. თასი						
		27 თებერვალი						
23:30	403	ბაიერნი-მიუნხენი1860	1.25	5.20	10.00	1.00	1.11	3.42
20:45	405	ვოლფსბურგი-ჰამბურგი	2.65	3.20	2.45	1.44	1.27	1.38
		ინგლისი. FA Cup						
		27 თებერვალი						
23:45	79	მიდლსბრო-შეფილდი	1.60	3.50	6.00	1.09	1.26	2.21
		ესპანეთი. თასი						
		27 თებერვალი						
23:45	421	ბარსელონა-ვალენსია	1.50	3.60	6.50	1.05	1.21	2.31
		28 თებერვალი						
23:45	420	ხეტაფე-რასინგი	2.05	3.20	3.50	1.24	1.29	1.67
		საფრანგეთი. თასი						
		27 თებერვალი						
23:45	410	ლე მანი-ლანსი	2.15	3.00	3.30	1.25	1.30	1.57
		ბელგია. თასი						
		27 თებერვალი						
23:30	412	რუზელარე-ბეერსხოტი	2.50	3.30	2.45	1.42	1.23	1.40
23:30	413	გენტი-კორტრაიკი	1.45	4.00	6.20	1.06	1.17	2.43
23:30	414	დენდერი-ანდერლეხტი	4.00	3.20	1.80	1.77	1.24	1.15
23:45	415	სტანდარდი-სერკლი	1.70	3.40	4.25	1.13	1.21	1.88
		ჰოლანდია. თასი						
		27 თებერვალი						
23:45	418	ქუიქ ბოისი-ბრედა	9.00	4.85	1.25	3.15	1.09	1.00

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		28 თებერვალი						
23:45	419	ფეიენოორდი-ზვოლე	1.25	4.80	9.00	1.00	1.09	3.13
		პორტუგალია. თასი						
		27 თებერვალი						
19:00	80	ნავალი-სეტუბალი	2.65	3.10	2.50	1.42	1.28	1.38
19:00	81	ბენფიკა-მორეირენსე	1.12	6.70	15.00	1.00	1.04	4.63
22:30	82	პორტუ-ჟილ ვისენტე	1.12	6.70	15.00	1.00	1.04	4.63
19:00	83	სპორტინგი-ამადორა	1.25	5.00	8.50	1.00	1.08	3.14
		საბერძნეთი. თასი						
		27 თებერვალი						
17:00	426	ოლიმპიაკოსი-ირაკლისი	1.20	5.20	10.00	1.00	1.07	3.42
17:00	427	ქსანთი-არისი	2.40	2.90	2.80	1.31	1.29	1.42
17:00	428	ატრომიტოსი-ოფი	1.70	3.20	4.50	1.11	1.23	1.87
		თურქეთი. თასი						
		27 თებერვალი						
15:00	422	კაისერი-ოფთასპორი	1.70	3.30	4.70	1.12	1.24	1.93
18:00	424	ბეშიქთაში-რიზე	1.30	4.20	10.00	1.00	1.15	2.95
22:00	425	გალათასარაი-ფენერბაჰჩე	2.25	3.10	3.00	1.30	1.28	1.52
		შვეიცარია.თასი						
		27 თებერვალი						
23:15	408	ბელინცონა-ქსამაქსი	2.75	3.20	2.40	1.47	1.28	1.37
23:15	409	ბაზელი-თუნი	1.25	5.00	10.00	1.00	1.11	3.33
		ჰოკეი. ფინეთი						
		27 თებერვალი						
20:30	509	ლუკო-ჰელსინკი	2.40	4.10	2.00	1.51	1.09	1.34

ეროვნული ბიბლიოთეკა

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10079	მიდლსბრო-შეფილდი	2.00	2.20	5.30	1.04	1.45	1.55
10080	ნავალი-სეტუბალი	3.05	2.00	2.90	1.20	1.48	1.18
10083	სპორტინგი-ამადორა	1.40	2.70	7.00	1.00	1.16	1.94
10100	დანდი იუნაიტედი-სტ.მირენი	2.15	2.10	4.60	1.06	1.46	1.44
10101	ფოლკირკი-ჰიბერნიანი	2.65	2.00	3.30	1.13	1.46	1.24
10102	გრეტნა-კილმარნოკი	3.40	2.00	2.60	1.25	1.47	1.13
10103	ჰართსი-რეინჯერსი	5.20	2.10	2.00	1.49	1.44	1.02
10104	აბერდინი-მოზერუელი	2.65	2.00	3.30	1.13	1.46	1.24
10105	სელტიკი-ინვერნესი	1.30	2.80	8.00	1.00	1.11	2.07
10164	ზალცბურგი-ალტახი	1.40	2.70	7.00	1.00	1.16	1.94
10165	ტიროლი-აუსტრია	3.10	2.00	2.85	1.21	1.48	1.17
10166	ლინცერი-მატერსბურგი	2.25	2.00	4.40	1.05	1.48	1.37
10168	რაპიდი-რიდი	1.75	2.30	6.50	1.00	1.37	1.69
10183	ჯენოა-ნაპოლი	2.60	2.00	3.50	1.13	1.49	1.27
10184	ლაციო-რეჯინა	2.00	2.20	5.30	1.04	1.45	1.55
10185	ინტერი-რომა	2.40	2.00	3.60	1.09	1.44	1.28
10186	ატალანტა-სამპდორია	2.80	2.00	3.05	1.16	1.45	1.20
10188	პარმა-უდინეზე	3.00	2.00	2.95	1.20	1.48	1.19
10189	სიენა-კალიარი	2.25	2.00	4.40	1.05	1.48	1.37
10190	პალერმო-ემპოლი	2.15	2.10	4.60	1.06	1.46	1.44
10191	ფიორენტინა-ლივორნო	1.80	2.20	6.00	1.00	1.38	1.60
10192	კატანია-მილანი	5.20	2.10	2.00	1.49	1.44	1.02
10403	ბაიერნი-მიუნხენი1860	1.40	2.70	7.00	1.00	1.16	1.94
10405	ვოლფსბურგი-ჰამბურგი	3.05	2.00	2.90	1.20	1.48	1.18
10408	ბელინცონა-ქსამაქსი	3.15	2.00	2.80	1.22	1.48	1.16
10409	ბაზელი-თუნი	1.40	2.70	7.00	1.00	1.16	1.94
10410	ლე მანი-ლანსი	2.55	2.00	3.55	1.12	1.48	1.27
10420	ხეტაფე-რასინგი	2.45	2.00	3.70	1.10	1.47	1.29
10421	ბარსელონა-ვალენსია	1.90	2.10	5.80	1.00	1.43	1.54
10422	კაისერი-ოფთასპორი	2.10	2.10	4.85	1.04	1.46	1.46
10424	ბეშიქთაში-რიზე	1.60	2.30	7.50	1.00	1.31	1.76
10425	გალათასარაი-ფენერბაჰჩე	2.65	2.00	3.30	1.13	1.46	1.24
10426	ოლიმპიაკოსი-ირაკლისი	1.40	2.70	7.00	1.00	1.16	1.94
10427	ქსანთი-არისი	2.80	2.00	3.05	1.16	1.45	1.20
10428	ატრომიტოსი-ოფი	2.10	2.10	4.85	1.04	1.46	1.46

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11079	მიდლსბრო-შეფილდი	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11080	ნავალი-სეტუბალი	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11083	სპორტინგი-ამადორა	1.55	15.00	30.00	3.40	4.80	12.00	20.00	11.00	11.00
11100	დანდი იუნაიტედი-სტ.მირენი	2.60	10.00	20.00	3.60	4.40	7.50	20.00	10.00	6.50
11101	ფოლკირკი-ჰიბერნიანი	3.40	10.00	20.00	4.40	4.40	5.00	20.00	10.00	4.60
11102	გრეტნა-კილმარნოკი	4.40	10.00	20.00	5.00	4.40	4.60	20.00	10.00	3.50
11103	ჰართსი-რეინჯერსი	7.50	10.00	20.00	8.50	4.40	3.50	20.00	10.00	2.40
11104	აბერდინი-მოზერუელი	3.40	10.00	20.00	4.40	4.40	5.00	20.00	10.00	4.60
11105	სელტიკი-ინვერნესი	1.45	15.00	35.00	3.50	5.00	14.00	20.00	12.00	12.00
11164	ზალცბურგი-ალტახი	1.55	15.00	30.00	3.40	4.80	12.00	20.00	11.00	11.00
11165	ტიროლი-აუსტრია	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11166	ლინცერი-მატერსბურგი	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11168	რაპიდი-რიდი	1.85	12.00	25.00	3.50	4.60	10.00	20.00	10.00	10.00
11183	ჯენოა-ნაპოლი	3.30	10.00	20.00	4.40	4.40	5.60	20.00	10.00	4.80
11184	ლაციო-რეჯინა	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11185	ინტერი-რომა	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11186	ატალანტა-სამპდორია	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11188	პარმა-უდინეზე	3.80	10.00	20.00	4.60	4.40	4.60	20.00	10.00	3.80
11189	სიენა-კალიარი	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11190	პალერმო-ემპოლი	2.60	10.00	20.00	3.60	4.40	7.50	20.00	10.00	6.50
11191	ფიორენტინა-ლივორნო	1.85	12.00	25.00	3.50	4.60	10.00	20.00	10.00	10.00
11192	კატანია-მილანი	7.50	10.00	20.00	8.50	4.40	3.50	20.00	10.00	2.40
11403	ბაიერნი-მიუნხენი1860	1.55	15.00	30.00	3.40	4.80	12.00	20.00	11.00	11.00
11405	ვოლფსბურგი-ჰამბურგი	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11408	ბელინცონა-ქსამაქსი	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11409	ბაზელი-თუნი	1.55	15.00	30.00	3.40	4.80	12.00	20.00	11.00	11.00
11410	ლე მანი-ლანსი	3.20	10.00	20.00	4.20	4.40	5.60	20.00	10.00	5.00
11420	ხეტაფე-რასინგი	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11421	ბარსელონა-ვალენსია	2.05	10.00	20.00	3.80	4.50	9.00	20.00	10.00	10.00
11422	კაისერი-ოფთასპორი	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11424	ბეშიქთაში-რიზე	1.65	15.00	30.00	3.50	5.00	11.00	20.00	11.00	11.00
11425	გალათასარაი-ფენერბაჰჩე	3.40	10.00	20.00	4.40	4.40	5.00	20.00	10.00	4.60
11426	ოლიმპიაკოსი-ირაკლისი	1.55	15.00	30.00	3.40	4.80	12.00	20.00	11.00	11.00
11427	ქსანთი-არისი	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11428	ატრომიტოსი-ოფი	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00

ძველი კაცი ძველ ადგილას



პეტერ ფორსბერგი ყინულზე ბრუნდება, თანაც NHL-ში და თანაც „კოლორადოში“, სადაც თავისი ბრწყინვალე, თუმც ტრავმებით დაჩეხილი კარიერის საუკეთესო წლები გაატარა.

ფორსბერგის კარიერა 1994-95 წლებში „კვებეკში“ დაიწყო. ერთი სეზონის შემდეგ ეს გუნდი კანადიდან სამხრეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში გადაბარგდა და დენვერში დაფუძნებული „კოლორადო ეველანშად“ იქცა. პირველივე სეზონში „ზვავებმა“ სტენლის თასი მოიგეს და შემდეგ, 2001 წელს, მეორედაც მოიპოვეს ჩემპიონობა. გუნდის უცვლელ კაპიტან ჯო საკიკთან და მეკარე პატრიკ რუასთან ერთად, სწორედ ფორსბერგი იყო „კოლორადოს“ ლიდერი. 2003 წელს ის სეზონის უძვირფასეს მოთამაშედაც აღიარეს და კიდევ ერთი სეზონის შემდეგ კი შვედი „ფილადელფიაში“ გადავიდა, სადაც ორი ჩემპიონატი გალია. 2006-07 წლების სეზონში ფორსბერგი, უკვე „ნეშვილში“ აღმოჩნდა და ჩემპიონატის ბოლოს, ტრავმებისგან გატანჯულმა კარიერის დასრულება გადაწყვიტა.

ჰოკეის გარეშე მაინც ვერ გაძლო. უკვე ნაახალწლევს დაირხა ხმები, რომ ფორსბერგი თამაშის განახლებას აპირებდა, ოღონდ სად, მშობლიურ შვედეთში, თუ კვლავაც ატლანტის ოკეანის გაღმა, უცნობი იყო. გუშინ ყველაფერი გაცხადდა — პეტერ ფორსბერგი იქ ბრუნდება, სადაც დიდების ზენიტში იყო.

„ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში მუხლჩაუხრელად ვმუშაობდი. ერთი სული მაქვს, სანამ „ზვავების“ მაისურას მოვირგებ. თავში სულ ძველი კადრები მიტრიალებს, ის წუთები, როდესაც „კოლორადოსთან“ ერთად ვიყავი. ბედნიერი ვარ, რომ ჩემს ძველ-ახალ თანაგუნდელებს ვუბრუნდები“ — განაცხადა ფორსბერგმა, რომელმაც „ზვავებთან“ სეზონის ბოლომდე დადო კონტრაქტი და ამ დროში 5 მილიონ დოლარს მიიღებს.

„ამაყები ვართ, რომ გვაქვს ბედნიერება, ჩვენს ქომაგებს ვუთხრათ — პეტერ ფორსბერგი ბრუნდება და ბრუნდება, სწორედ ჩვენთან“ — ეს კი, უკვე „კოლორადოს“ გენერალური მენეჯერის, ფრანსუა ჟიგერის სიტყვებია.

კახა ლომაშვილი

სელიანეს კვირა

რეგულარული ჩემპიონატი

25 თებერვალი

ბუფალო 3:4 ფილადელფია

3:2 0:0 0:1 0:0 (0:1 ბულიტებით)

1:0 როი (7), 2:0 მაკარტური (7), 3:0 პომინვილი (15), 3:1 კარტერი (15), 3:2 ჰარტნელი (17), 3:3 ამბერგერი (53)

ოტავა 0:5 ტორონტო

0:1 0:4 0:0

0:1 სუნდინი (9), 0:2 ტაკერი (27), 0:3 კუბინა (29), 0:4 ტაკერი (33), 0:5 მური (38)

გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად ანაჰაიმელი „იხვების“ ფინელი ფორვარდი ტეემუ სელიანე, კალგარელი „ალების“ მეკარე, ასევე ფინელი მიკა კიპრუსოფი და და კიდევ ერთი კიპერი, ნიუჯერსელი „ეშმაკების“ კარის დარაჯი მარტინ ბროდო დაასახელეს.

პირველი ვარსკვლავის წოდება სელიანეს ერგო, ვინც შარშანდელი, საჩემპიონო სეზონის შემდეგ, თითქოს კარიერა დაასრულა, მაგრამ ნაახალწლევს, ეტყობა, დიდი ჰოკეის გარეშე მოიწყინა და ამ ცოტა ხნის წინ ფინეთიდან ანაჰაიმში დაბრუნდა.

რაც სელიანემ თამაში განაახლა, „იხვებმა“ ათიდან ცხრა თამაში მოიგეს, გასულ შვიდდღეულში კი ანაჰაიმმა სამი გამარჯვება მოიპოვა და ამ სამ თამაშში ვეტერანმა ფინელმა 7(5+2) ქულა მიითვალა.

ახლა მეორე ფინელის შესახებ. გასულ კვირაში „კალგარიმაც“ სამიდან სამი მატჩი მოიგო და ამ შეხვედრებში კიპრუსოფი საშუალოდ, ოდენ 0,67 გოლს უშვებდა და დარტყმების 98,0(!) პროცენტს იგერიებდა. თანაც, მიკამ სამიდან ერთი თამაში შათაუტით დაასრულა.

რაც შეეხება ბროდოს, მისმა „ნიუ ჯერსიმ“ წინა შვიდდღეულში ოთხი თამაში მოიგო და ამ მატჩებში „ეშმაკთა“ კარის დარაჯი, საშუალოდ, 1,48 გოლს უშვებდა და დარტყმათა 94,7 პროცენტს იგერიებდა.

კახა ლომაშვილი

მსოფლიოს თასი. ფალუნი. შვედეთი. 23-25 თებერვალი

ქალები

30 კმ დუატლონი (15 კმ კლასიკური + 15 კმ თავისუფალი)

1. ლუკაშ ბაუერი (ჩეხეთი)	1 სთ 11 წთ 54,1 წმ
2. ტორ ასლე გიერდალენი (ნორვეგია)	+0,7 წმ
3. ანდერს სოდერგრენი (შვედეთი)	+6,7
4. სერგეი დოლიდოვიჩი (ბელარუსი)	+8,2
5. რენე ზომერფელდი (გერმანია)	+9,6

საერთო ჩათვლა

1. ლუკაშ ბაუერი (ჩეხეთი)	1096 ქულა
2. რენე ზომერფელდი (გერმანია)	688
3. ტორ არნე ჰეტლანდი (ნორვეგია)	602
4. აქსელ ტაიხმანი (გერმანია)	538
5. პიეტრო პილერ კოტრერი (იტალია)	516

ესტაფეტა 4X10 კმ

1. ნორვეგია I (მარტინ სუნდბი, კრის იესპერსენი, მორტენ ელიფსენი, პეტერ ნორტუგი)	1სთ 40 წთ 18,2 წმ
2. ნორვეგია I (იენს არნე სვარტედალი, ოდ ბიორნ ჰელმესეტი, სიმონ ოსტენსენი, ტორ ასლე გიერდალენი)	+1,0 წმ
3. ჩეხეთი (მარტინ იაკში, ლუკა ბაუერი, ირჟი მაგალი, მარტინ კუკალი)	+1,7
4. გერმანია (აქსელ ტაიხმანი, იენს ფილბრიხი, რენე ზომერფელდი, ტობიას ანგერერი)	+6,1
5. საფრანგეთი (კრისტოფ პერილი, ჟან-მაკრ ჟილარდი, ვენსან ვიტოზი, ემანუელ ჟონიე)	+43,2

ქალები

15 კმ დუატლონი (7,5 კმ კლასიკური + 7,5 კმ თავისუფალი)

1. ასტრიდ იაკობსენი (ნორვეგია)	41 წთ 34,2 წმ
2. მარიტ ბიორგენი (ნორვეგია)	+5,9 წმ
3. აინო კაისა საარინენი (ფინეთი)	+14,3
4. საბინა ვალბუზა (იტალია)	+14,9
5. ანა ჰანსონი (შვედეთი)	+15,0

საერთო ჩათვლა

1. ვირპი კუიტუნენი (ფინეთი)	1001 ქულა
2. ასტრიდ იაკობსენი (ნორვეგია)	970
3. შარლოტა კალა (შვედეთი)	901
4. ჟუსტინა კოვალჩიკი (პოლონეთი)	841
5. არიანა ფოლისი (იტალია)	770

ესტაფეტა 4X5 კმ

1. ნორვეგია I (ინგრიდ ტილდუნი, ასტრიდ იაკობსენი, კრისტინ სტორმერ სტეირა, მარიტ ბიორგენი)	56 წთ 29,7 წმ
2. ფინეთი (ვირპი კუიტუნენი, აინო კაისა საარინენი, რიტა ლიზა როპონენი, რიკა სარა სოია)	+30,9 წმ
3. გერმანია (სტეფანი ბუპლერი, კატრინ ცელერი, კლაუდია ნისტადი, ევი ზახენბახერი)	+55,7
4. შვედეთი (სარა ლინდბორგი, ანა ჰანსონი, შარლოტა კალა, მარია რუდკვისტი)	+1.08,0
5. ნორვეგია II (კრისტინ სტემლანდი, მარტა ელდენი, სარა სვენდსენი, ჰილდე პედერსენი)	+1.42,8

მსოფლიოს თასი. ვისტლერი. კანადა. 21-25 თებერვალი

ქალები

გიგანტური სლალომი

1. ჰანე რაიხელტი (ავსტრია)	2 წთ 37,43 წმ (1.20,79+1.16,64)
2. დიდიე კუშე (შვეიცარია)	2.37,82 (1.20,73+1.17,09)
3. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია)	2.37,87 (1.20,53+1.17,34)
4. ტედ ლიჯეტი (აშშ)	2.37,95 (1.21,02+1.16,93)
5. ჯონ კუჩერა (კანადა)	2.38,27 (1.21,08+1.17,19)

საერთო ჩათვლა

1. ბოდე მილერი (აშშ)	1103 ქულა
2. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია)	1058
3. დიდიე კუშე (შვეიცარია)	998
4. ივიცა კოსტელიჩი (ხორვატია)	686
5. ჟან-ბატისტ გრანჟე (საფრანგეთი)	682

ქალები

სწრაფდაშვება

1. ნადია შტიგერი (შვეიცარია)	1 წთ 45,30 წმ
2. ლინდსი კილდოუ (აშშ)	1.45,31
3. ჯულია მანკუზო (აშშ)	1.45,49
4. ბრიტ იანიკი (კანადა)	1.45,65
5. რენატა გიოტჩლი (ავსტრია)	1.45,69

სუპერკომბინაცია (სწრაფდაშვება + სლალომის ერთი ცდა)

1. მარია რიოში (გერმანია)	2 წთ 10,07 წმ (1.21,49+48,58)
2. მარლიზ შილდი (ავსტრია)	2.10,16 (1.22,58+47,58)
3. ანია პერსონი (შვედეთი)	2.10,38 (1.22,32+48,06)
4. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია)	2.10,40 (1.22,27+48,13)
5. ელიზაბეტ გიორგლი (ავსტრია)	2.10,63 (1.22,62+48,01)

საერთო ჩათვლა

1. ლინდსი კილდოუ (აშშ)	1103 ქულა
2. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია)	1049
3. მარია რიოში (გერმანია)	981
4. მარლიზ შილდი (ავსტრია)	951
5. ელიზაბეტ გიორგლი (ავსტრია)	922

თქვენი ინტერვიუ

ჭიმ ლეინთან

საქართველოს რაგბის ნაკრების მთავარი მწვრთნელი

რუბრიკის რესპონდენტ ტიმ ლეინთან კითხვები 23 თებერვლის ჩათვლით უნდა გამოგზავნოთ, ნაკრების ავსტრალიელ მწვრთნელთან ინტერვიუ კი ეროვნული გუნდის პორტუგალიიდან დაბრუნების შემდეგ გამოქვეყნდება. ერთი სიტყვით, კითხვები არ დაინანოთ.

მოგვმართეთ ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: geo_geo_fan@hotmail.com

ნაკრებს თავი მარტში დაედგმება

ლიპარტელიანი მწვრთნელს ნბა-შიც ეძებს

გურამ დოლიძე/ეროვნული ბიბლიოთეკა

16 თებერვალს საქართველოს ეროვნული ნაკრების მეტოქეები გაირკვა (შვედეთი, ირლანდია, სლოვაკეთი, ლუქსემბურგი) ავადსახსენებელ B დივიზიონში, სადაც ჩვენები უკვე 4 წელია, იხარშებიან და ამაოდ ცდილობენ ელიტაში აღზევებას. შემოდგომიდან ქართველები მორიგ საკვალიფიკაციო ტურნირში ჩაებმებიან და თუ რა განწყობა-შანსებით შევხვდებით ამ გადამწყვეტ მატჩებს, კალათბურთის ფედერაციის მარიფათზეა დამოკიდებული. ახლა ყველაზე მძაფრად მწვრთნელის საკითხი დგას და ყველას ის აინტერესებს, მოახერხებს თუ არა ფედერაცია კომპეტენტური სპეციალისტის საქართველოს ნაკრებში მუშაობაზე დაყოლიებას. ჩვენს ნაკრებს კარგი მოთამაშეების პრობლემა რომ არ აქვს და შედეგის მისაღწევად დონიანი მწვრთნელია საჭირო, ეს ბოლო მატჩებშიც გამოჩნდა. ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა თქვა, ჯერ მეტოქეები გაირკვნენ და მწვრთნელის ჩამოყვანაზე მერე ვიზრუნებთო. ქართული კალათბურთის ხელმძღვანელს საინტერვიუედ რომ მივაკითხეთ, თავდაპირველად კენჭისყრის შედეგებზე დავეკითხეთ...

— პრინციპში, ცუდ ჯგუფში არ მოვხვდით. ჩერნოგორია რომ ჩვენთან მოხვედრილიყო, გაცილებით რთულ სიტუაციაში აღმოვჩნდებოდით. მე ვიტყოდი, რომ დაახლოებით ისეთი სიძლიერის მეტოქეები შეგვხვდა, როგორიც წინა საკვალიფიკაციოზე.

— წინაზე გვყავდა შვედეთის დარი მეტოქე?

— მართალია, შვედები A დივიზიონიდან ჩამოქვეითდნენ, იქამდე კი, 2003 წელს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზეც უთამაშიათ, მაგრამ არა მგონია, რომ ფინეთის ნაკრები მათ რამით ჩამოუვარდება. ეს გუნდები ხშირად თამაშობდნენ ამხანაგურ მატჩებს და ხან ერთი იგებდა, ხანაც — მეორე. ასევე ერთი დონის გუნდებად მიმაჩნია ავსტრია, ჩვენი აქამდელი მეტოქე, და ირლანდია. ორივე ეს ნაკრები 2005 წელს პლეი ოფში გავიდა და A დივიზიონში გადასასვლელი მატჩები წააგო. 2006-07 წლის სეზონში კი ორივე უფერულად გამოვიდა, განსაკუთრებით, ირლანდია, რომელიც ჩვენი მეტოქეა მომავალ საკვალიფიკაციოში. ერთი სიტყვით, კენჭისყრით არ ვარ უკმაყოფილო.

— ამაზე უკეთესი ვარიანტი რომელი იქნებოდა?

— შვედეთის ნაცვლად რომ დანია შეგვხვედროდა. შვედებს ბოლოს ბორმიოს ტურნირზე ვეთამაშეთ 4 წლის წინ და 30 ქულით მოვუგეთ, მაგრამ ახლა რას წარმოადგენენ, არ ვიცი. ასე რუსებსაც მოვუგეთ ბორმიოში, მაგრამ შარშან ევროპის ჩემპიონები გახდნენ. დანიას კი გასულ ზაფხულს ბულგარეთში შევხვდით და ვიცით, რა გუნდია.

— ალბათ არც კალენდრით უნდა იყოთ უკმაყოფილო...

— ჩვენთვის ერთადერთი უარყოფითი მხარე ის არის კალენდარში, რომ პირველ წრეში არ ვისვენებთ, მიყოლებით ვთამაშობთ ყველა მეტოქესთან. სხვები მორიგეობით ყოველ ტურში ისვენებენ, ჩვენ კი ბოლო ტურში ვუქმობთ. ხოლო ის, რომ პირველ წრეში შვედეთს და ირლანდიას სტუმრად ვეთამაშებით და მეორე, გადამწყვეტ წრეში ვმასპინძლობთ, საკმაოდ კარგი უპირატესობაა.

— კენჭისყრას თქვენც ესწრებოდით?

— არა, ვენეციაში არ წავსულვარ, თუმცა საქმიანი ვიზიტით საბერძნეთში ვიყავი, სადაც ფიბა-ევროპის პრეზიდენტ გეორგის ვასილოკოპულოსს შევხვდი, რომელმაც საკმაოდ კარგი ამბავი გვამცნო — შესაძლოა, რომელიმე ასაკობრივი ევროპის ჩემპიონატი თბილისში გაიმართოს. ვუთხარი, რომ სპორტის სასახლე უმაღლეს დონეზე მოეწყო და თუ ვერის ბაღის დარბაზის გარემონტებაც მოვახერხეთ, უკვე რეალური იქნება ევროჩემპიონატის ჩატარებაზე ფიქრი. ვასილოკოპულოსი თბილისში აპრილის დასაწყისში ჩამოვა, დაათვალიერებს აქაურობას და მერე უფრო კონკრეტულად შეგვეძლება ამ თემაზე ლაპარაკი.

— ვასილოკოპულოსი 5 წლის წინაც იყო თბილისში და მაშინ კავკასიის ლიგის შექმნის იდეა წამოაყენა. ამაზე არ გილაპარაკიათ?

— როგორ არა და აპრილში ფიბა-ევროპის პრეზიდენტი რომ გვეწვევა, თბილისში აზერბაიჯანისა და სომხეთის კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებიც ჩამოვლენ. ლიგის შექმნაზეც უფრო კონკრეტულად მაშინ ვისაუბრებთ.

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ნაკრები მწვრთნელის გარეშეა...

— ახლა, როცა მეტოქეები გარკვეულია, მწვრთნელობის კანდიდატებთან ურთიერთობა გაიოლდა. თავდაპირველად ყველა იმას კითხულობდა, როდის გაქვთ თამაშები და ვის ხვდებითო. ახლა უკვე კონკრეტულ პირობებზე მიდის საუბარი, რადგან მეტოქეებიც ცნობილია და კალენდარიც.

— რამდენ კანდიდატთან აწარმოებთ მოლაპარაკებას და ვინ არიან ისინი?

— 10-12 სპეციალისტთან გვაქვს ურთიერთობა, თუმცა შედარებით რეალური 3-4-ია. ვინაობას ჯერჯერობით ვერ ვავამხელ. იმედია, მარტის დასაწყისში მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდება რომელიმე მათგანთან და... ერთ ძალიან კარგ ვარიანტზე ვმუშაობთ და ის თუ გამოვიდა, ყველა მოგებული დავრჩებით.

— ის მაინც გვითხარით, სადაურები არიან...

— ევროპელები და ამერიკელები. არ გამოვრიცხავთ, რომ ნბა-ში მომუშავე სპეციალისტი ჩაუდგეს ჩვენს ნაკრებს სათავეში.

— რეალურად მიგაჩნიათ, რომ ნბა-ს კლუბის მწვრთნელი საქართველოში მუშაობას დათანხმდება?

— მთავარი მწვრთნელი არ მიგულისხმია. რა თქმა უნდა, იმ დონეს ვერ გავწვდებით — ასისტენტი მწვრთნელი მქონდა მხედველობაში. ყველას აჯობებს, ევროპელი იყოს და ნბა-ში მუშაობის გამოცდილება ჰქონდეს.

— ერთი სიტყვით, მწვრთნელი როდის გვეყოლება?

— მარტის შუა რიცხვებს არ უნდა გადასცდეს. ძლიერი სპეციალისტის ასე მალე შოვნა ძალიან ძნელია. უდიდესი მნიშვნელობა ექცევა კლუბის ფაქტორს. ყველა სერიოზული მწვრთნელი გუნდშია დაკავებული და ისეთი უნდა ვიპოვოთ, რომელიც სეზონის დაწყებამდე მინიმუმ 1 თვე ჩვენთან იქნება. თავის დროზე გორდონ ჰერბერტი რომ „პო ორტეზეში" გადავიდა, ჩვენს ნაკრებში ნახევარი შეკრება გაუცდა და გასულ ზაფხულსაც რომ იგივე არ განმეორებულიყო, იმიტომ დავნიშნეთ მთავარ მწვრთნელად კენ შილდსი და ჰერბერტს დავემშვიდობეთ. სხვათა შორის, იგივე პრობლემა აქვთ ევროპის წამყვან ქვეყნებსაც. საბერძნეთის ნაკრების თავკაცი პანაგიოტის იანაკისი „პანათინაიკოსის" მწვრთნელად დაინიშნა და ვასილოკოპულოსი სწორედ ამას ჩიოდა, არ ვიცით, რა იქნება ზაფხულში, მოახერხებს თუ არა იანაკისი ნაკრებთან საჭირო დროით მუშაობასო.

— ტექნიკურად როგორ ხდება მწვრთნელობის კანდიდატთან მოლაპარაკების წამოწყება?

— ყველას ჰყავს საკუთარი აგენტი, რომელსაც დაურეკავ და ეტყვი, რომ გინდა, მისი ნაკრებში მიწვევა. აგენტი თავისი კლიენტის პირობებს წამოაყენებს — თანხას პირველ რიგში და მერე სხვა დეტალებს. თუ მოგვეწონება, მერე იწყება მოლაპარაკება და პირობების დაწვრილებით შეთანხმება, თუ არა, ვემშვიდობებით.

— მოსამზადებელი შეკრების საჭიროდ თარიღი ხომ არ იცით უკვე?

— სავარაუდო 1 აგვისტოა, უფრო კონკრეტულად კი მაშინ გავარკვევთ, როცა მწვრთნელი დაინიშნება.

— ალბათ ახლაც საზღვარგარეთ გაივლით შეკრებას...

— უცხოურ ტურნირებზე კი ვითამაშებთ, მაგრამ შესაძლოა, შეკრება, ძირითადი ბაზა, თბილისში გვქონდეს. ანუ აქ მოვემზადებით და უცხოეთში ტურნირების სათამაშოდ წავალთ. სავარაუდოდ, 2 ტურნირი გვექნება შარშანდელივით და ორივეს ერთმანეთის მიყოლებით მოვილევთ.

— რა ტურნირი იქნება და რომელი მეტოქეები გვეყოლება, ეს ხომ არ იცით?

— არა, მაგრამ ეჭვი მეპარება, A დივიზიონის გუნდებთან მოგვიწიოს სპარინგმა, რადგან იქ უფრო ადრე იწყება შესარჩევი მატჩები და ჩვენ რომ შევიკრიბებით, შესაძლოა, მათ დამთავრებული ჰქონდეთ მოსამზადებელი ეტაპი.

— შარშან ოპტიმალური შემადგენლობის შეკრება ვერ მოხერხდა. მოთამაშეთა დროულად ჩამოსვლის პრობლემა კვლავ ხომ არ შეაწუხებს ნაკრებს?

— აბა, რა გითხრათ, ეგ თავად მოთამაშეებზეა დამოკიდებული. ჩვენ რა უნდა ვქნათ, ერთი ნაკრებიდან მოკვეთა შეგვიძლია და ეს რომ გავაკეთოთ, ისევ და ისევ ნაკრებს ვავნებთ. არა მგონია, ნაკრებს უგულოდ მიუდგნენ მისი წევრები. იმედია, ვისაც კონტრაქტები უმთავრდებათ, დროულად გააფორმებენ ახლებს და ნაკრებს დათქმულ დროს შეუერთდებიან.

— ზაზა ფაჩულია თითქოს გულდაწყვეტილი წავიდა ამერიკაში და მისი ჩამოსვლის ამბავი როგორ იქნება?

— არავითარი პრობლემა არ არსებობს, ზაზა ნაკრებში ჩამოვა. მას ველაპარაკე და, სხვათა შორის, პირველი ის მკითხა, მწვრთნელი ხომ არ შეგირჩევიათო. როგორც წესია, ფაჩულიას და ნაკრების ყველა წევრს უკვე გავუგზავნეთ B დივიზიონის კალენდარი.

ირაკლი პერტაია

საქართველოს ნაკრების 2008 წლის კალენდარი

6 სექტემბერი
საქართველო — ლუქსემბურგი

10 სექტემბერი
ირლანდია — საქართველო

13 სექტემბერი
საქართველო — სლოვაკეთი

17 სექტემბერი
შვედეთი — საქართველო

ცინცაძის ფინალი ტარტუში გაირკვევა

ითამაშებს თუ არა გიორგი ცინცაძე ევროთასის ოთხთა ფინალში, ერთი კვირის შემდეგ გაირკვევა, როცა „როკი" ესტონეთში პერმის „ურალ გრეიტს" უმასპინძლებს გადამწყვეტ საპლეიოფო მატჩში.

ცინცაძის „როკმა" ურალელები ერთი კვირის წინ საკუთარ მოედანზე კი დაამარცხა, მაგრამ გუშინწინ „ურალ გრეიტმა" პერმში საპასუხო შეხვედრა მოიგო და მეოთხედფინალურ სერიაში ანგარიში გაათანაბრა.

პირველი მატჩის მსგავსად, ეს შეხვედრაც დაძაბული გამოვიდა და საბოლოოდ მასპინძლებმა არცთუ დამაჯერებლად, 68:61 იმარჯვეს. თუმცა სხვაობას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ევროთასზე საპლეიოფო სერიაში გამარჯვება ორ მოგებამდეა.

ცინცაძემ ხუთეულში ითამაშა და მოედანზე 29 წუთი დაჰყო. მან სამივე ორქულიანი ააცილა, თუმც სამიანები და ჯარიმები ჩაყარა და მოედანი 8 ქულით დატოვა. ქართველი გამთამაშებლის ანგარიშზე იყო ასევე 3 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრა.

„თამაში საკმაოდ ნერვიული გამოვიდა, სწორედ ისეთი, პლეი ოფს რომ შეეფერება — თქვა ნამატჩევს „როკის" თავკაცმა ულარ კერდემ — „ურალ გრეიტი" ამ ტურნირზე ყველაზე სერიოზული მეტოქეა ჩვენთვის და არც გამკვირვებია, სერია მესამე მატჩამდე რომ მივიდა. დღეს კი წავაგეთ, მაგრამ იმედი მაქვს, ტარტუში ვიმარჯვებთ და ოთხთა ფინალის საგზურს მოვიპოვებთ".

ირაკლი პერტაია

თბილისი ევროპას უმასპინძლებს

ბადრი ჯიბილაძის ფოტო

გიორგი გოგუაძე და ოლეგ იაძე

ამას წინათ მოსკოვში გამართულ ევროპის სამბოს ფედერაციის კონგრესზე ევროპის ჩემპიონატის მასპინძელ ქვეყნად საქართველო დაასახელეს. ჩვენი კონკურენტები სამბოს ტრადიციული ქვეყნები, ბელარუსი და რუსეთი იყვნენ, თუმც კონგრესის მონაწილეებმა უპირატესობა თბილისს მიანიჭეს, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი ქართული მასპინძლობის ადათ-წესებმა და სპორტის დეპარტამენტის მხრიდან სერიოზულმა მხარდაჭერამ განაპირობა.

25 თებერვალს თბილისს ევროპის სამბოს ფედერაციის პრეზიდენტი სერგეი ელისეევი ეწვია აქაური სამბოს მესვეურებს და დავით ნამგალაურს შეხვდა და ევროპის პირველობის ჩატარების თარიღიც დააზუსტა. თბილისი ბებერი კონტინენტის ჩემპიონატს 28 აპრილიდან 2 მაისამდე უმასპინძლებს. გუშინ ამ საკითხთან დაკავშირებით სპორტის დეპარტამენტში პრესკონფერენცია გაიმართა. ჟურნალისტებს სამბოს ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი გოგუაძე, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური, სამბისტთა ნაკრების თავკაცი ოლეგ იაძე და სტუმარი სერგეი ელისეევი ესაუბრნენ. თავიდან სიტყვა გოგუაძემ აიღო:

— სასიხარულო დღეა. ცოტა მოულოდნელი იყო, რომ ევროპის ფედერაციამ ჩვენ სასარგებლოდ მიიღო გადაწყვეტილება და თბილისი ამხელა მნიშვნელობის ტურნირს უმასპინძლებს. ქართველი ქომაგი ნამდვილად არ არის განებივრებული ასეთი დონის შეჯიბრებებით და ამიტომ ეს ამბავი ორმაგად გასახარია. ჩემი გაპრეზიდენტების მერე ერთ-ერთი მიზანი სამბოს პოპულარიზაცია გახლდათ საქართველოში და ამ თვალსაზრისითაც კარგია ტურნირის აქ ჩატარება. ისიც სათქმელია, რომ წელს სამბოს დაარსებიდან 70 წელი შეუსრულდა და მჯერა, სპორტის სასახლეში ღირსეულ ღონისძიებას ჩავატარებთ.

სერგეი ელისეევი: ევროპის ჩემპიონატის თბილისში გამართვის ინიციატივა საქართველოდან წამოვიდა. ეს სპორტი ძალიან პოპულარულია პოსტსაბჭოურ ქვეყნებში — რუსეთში, მოლდოვაში, საქართველოში, თან წელს 70 წელი უსრულდება. თბილისისათვის მასპინძლის სტატუსის მინიჭება იმანაც განაპირობა, რომ სპორტის დეპარტამენტი სამბოს ფედერაციას მხარს უჭერს.

დავით ნამგალაური: დიდი მადლობა სერგეი ელისეევს ასეთი მხარდაჭერისთვის. საერთოდ, ამხელა დონის ტურნირების მასპინძლობა ერთი წლით ადრე მაინც იგეგმება, მაგრამ ჩვენ ძალიან ცოტა დრო გვქონდა. მჯერა, თბილისი ევროპის ჩემპიონატს ღირსეულად უმასპინძლებს. მჭიდროდ ვითანამშრომლებთ ფედერაციასთან საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად და ქართველ ქომაგს ნასიამოვნებს დავტოვებთ. ამ პროცესებში ჩაებმება ყველა ის ადამიანი, ვისაც ევალება მსგავსი საკითხების გადაწყვეტა და საერთოდ, სახელმწიფოს მხრიდან არანაირი პრობლემა არ იქნება.

ოლეგ იაძე: უკრაინამ ბოლო მომენტში თქვა უარი ტურნირის მიღებაზე და ამიტომ საქართველოს 2 თვე რჩებოდა მოსამზადებლად. ის, რომ თბილისი ასეთ დიდ ღონისძიებას უმასპინძლებს, სპორტის დეპარტამენტის დამსახურებაა. სახელმწიფომ სრული მხარდაჭერა აღგვითქვა. ნაკრებს მეტი პასუხიმგებლობა დაეკისრება და გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილიც კი ცუდ შედეგად ჩაითვლება. ქარდველი ქომაგი უნდა გავახაროთ და კარგად გამოვიდეთ. გვინდა, რომ რუსეთის ძლიერი გუნდი დავამარცხოთ, ვფიქრობ, თბილისს 20-დან 30-მდე ევრონული ნაკრები ეწვევა.

ლეჭსო მაისურაძე

სამნი პესკარაში

იტალიის ქალაქ პესკარაში მიმდინარე საერთაშორისო ლიცენზიო ტურნირს რვა ქართველი მონაწილიდან სამიღა შემორჩა. ძათგან ლევან ღვამიჩავას (64 კგ) ჯერ არ უჩხუბია. დავით წიკლაური (81 კგ), კობა ფხაკაძე (57 კგ), გიორგი ნაკანი (75 კგ) და ბექა ლობჟანიძე (+91 კგ) ბრძოლას პირველივე წრიდან გამოეთიშნენ. 54 კგ-ში ნიკოლოზ იზორიამ ალბანელი არტურ გავოტცი 27:6 დაამარცხა, მერე მასპინძელ ვიტორიო პარინელოს 24:13 მოუგო და მეოთხედფინალში ასე გავიდა.

69 კგ-ში კახა ჟვანიამ ბულგარელ დიმიტარ სტალიანოვს 16:5 ავჯობა, მომდევნო ეტაპზე კი უნგრელ ნორბერტ პარკშა დაჩაგრა 19:6 და ისიც მეოთხედფინალშია. თუ ჩვენებურები ნახევარფინალში გავლენ, რომც წააგონ, ლიცენზიის მოპოვების შანსი რჩებათ, რადგან ამ წონებში მესამეადგილოსნები ერთმანეთში კრივობენ და პეკინში მათგან საუკეთესო მიდის.

ლეჭსო მაისურაძე



ექსტრემალები ატენის ხეობაში

2 მარტს ატენის ხეობის სოფელ ბიისში მდებარე გაყინულ ჩანჩქერზე გაიმართება ყინულზე კომბინირებული ცოცვის პირველი ფესტივალი, რომლის ორგანიზატორებიც საქართველოს ალპური კლუბი და მთამსვლელთა ეროვნული ფედერაცია გახლავან. იმის გამო, რომ საშეჯიბრო ტრასა ძალიან რთულია, საკუთარ ძალებს მხოლოდ ბიჭები გამოცდიან.

გუშინ ტურნირის ორგანიზატორებმა სპორტის დეპარტამენტში პრესკონფერენცია გამართეს და მედიას ფესტივალის შესახებ ესაუბრნენ.

ბიძინა გუჯაბიძე: „გვინდოდა, რომ ყინულზე ასვლა კიდევ უფრო გაგვერთულებინა და გარკვეული ელემენტები დავამატეთ — გამოყენებული იქნება ისეთი წესებიც, რაც საერთაშორისო სტანდარტებშია. ეს ჩანჩქერი 5-6 წლის წინ აღმოვაჩინეთ და ყოველთვის ვატარებთ ტურნირებს. მანამდე ასეთი საშეჯიბრო ტრასა არ გვქონდა. ყველას ვიწვევთ ატენის ხეობაში“.

დაინტერესებულ გულშემატკივრებს გეტყვით, რომ თუ ექსტრემალური სპორტი გიზიდავთ და ადრენალინი გაწვებათ, 2 მარტს ვერის ბაღს ეწვიეთ, საიდანაც უფასო ავტობუსებით გაემგზავრებით ატენის ხეობაში.

ლეჭსო მაისურაძე

კვირის მოთამაშეები

აღმოსავლეთი
ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი)



დასავლეთი
მანუ ჯინობილი (სან ანტონიო)



„კლივლენდის“ ოქრობიჭი ლებრონ ჯეიმსი ყველა ვარსკვლავის შოუ-მატჩში გაბრწყინების შემდეგაც ყველას გაალმასებული უმტკიცებს, თუ ვინაა ამ ლიგაში ყველაზე კაშკაშა მნათობი და აგრძელებს შთამბეჭდავი თამაშების სერიას. გასულ კვირას მან ორი სამმაგი დუბლი შეასრულა, ოთხიდან სამი თამაში მოაგებინა „კავალერიას“ და ასოციაციამ, ვინ იცის, მერამდენედ დაასახელა აღმოსავლეთის საუკეთესო მოთამაშედ. პირდაპირ მომნუსხველია მისი სტატისტიკა — ამ ოთხ შეხვედრაში პრინცი-ლებრონი საშუალოდ 28,8 ქულას, 12,3 მოხსნასა და 10,5 პასს იხვეჭდა.

დასავლეთსაც კარგა კაშკაშა რჩეული ჰყავს — „სან ანტონიოს“ არგენტინელმა მსროლელმა მანუ ჯინობილიმ „დეზებს“ გასულ კვირაში სამიდან სამი თამაში მოაგებინა, თავად კი საშუალოდ 30,7 ქულა, 6,3 პასი და 4,3 მოხსნა აგროვა. მას მართლაც ბრწყინვალე სეზონი აქვს, ამ რეგულარულში საშუალოდ 20,7 ქულას აკეთებს, რაც სარეკორდოა მის ექვსწლიან ნბა-ურ კარიერაში და საუკეთესოა წლევანდელ „სან ანტონიოში“.

კვირის სიმბოლური ხუთეული („სარბიელის“ ვერსია): ანდრე მილერი (ფილადელფია),მანუ ჯინობილი (სან ანტონიო), ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი), კრის ბოში (ტორონტო), პაუ გასოლი (ლეიკერსი)

NBA
რეგულარული ჩემპიონატი

25 თებერვალი

სან ანტონიო 89:74 ატლანტა

სან ანტონიო: პარკერი (15), ჯინობილი (13), ბოუენი (5), დანკანი (23 ქულა, 10 მოხსნა), ობერტო; უდოკა (10), ფინლი (9), ბონერი (4), ტომასი (4), ჰორი (3), სტუდემაიერი (3), ვონი

ატლანტა: ბიბი (2), ჯონსონი (17), უილიამსი (4), სმიტი (6 ქულა, 13 მოხსნა), ჰორფორდი (12 ქულა, 13 მოხსნა); ფაჩულია (19 წუთი, 14 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი), სტუდემაიერი (9), ჩილდრესი (7), რიჩარდსონი (3), ვესტი

ინდიანა 98:102 ტორონტო

ინდიანა: გრეინჯერი (20 ქულა, 10 მოხსნა), დანიელსი (20), დანლივი (17), მერფი (17)

ტორონტო: ბოში (24 ქულა, 10 მოხსნა), დელფინო (23), ფორდი (16)

ნიუ ორლეანი 92:95 ვაშინგტონი

ნიუ ორლეანი: პოლი (22), პატერსონი (18), ვესტი (13)

ვაშინგტონი: სტივენსონი (33)

დალასი 102:94 ჩიკაგო

დალასი: ნოვიცკი (29 ქულა, 10 მოხსნა), სტეკჰაუსი (23), ჰოვარდი (16), კიდი (11 ქულა, 9 მოხსნა, 8 პასი, 4 ჩაჭრა)

ჩიკაგო: გორდონი (25), გუდენი (17), ჰიუზი (14)

დენვერი 93:98 დეტროიტი

დენვერი: აივერსონი (28), ენტონი 23 ქულა, 11 მოხსნა)

დეტროიტი: ჰამილტონი (20), ბილაფსი (20), პრინსი (20 ქულა, 9 პასი, 6 მოხსნა), მაკდაიესი (16 ქულა, 13 მოხსნა)

კლიპერსი 76:104 ბოსტონი

კლიპერსი: ტომასი (15)

ბოსტონი: პოუზი (17), პირსი (17), ალენი (15)

მშვილდი ზღვის პირას

საქართველოს მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენლები ირენა სოსი და ჰენკ ვადენმაკერი სტუმრობდნენ და გადაწყვიტეს, რომ 15-20 ივლისს ბათუმი 18-წლამდელ იუნიორთა ევროპის თასის ფინალურ ეტაპს უმასპინძლებს. მსგავსი ტურნირი საქართველოში პირველად ტარდება სპორტის დეპარტამენტის მხარდაჭერით. ზღვისპირეთს, სავარაუდოდ, 300-მდე ნორჩი მშვილდოსანი ეწვევა.

ლეჭსო მაისურაძე

ზუგდიდელი ქუთაისში

5+5 საშამ ათიანში გაარტყა

80-იანი წლებში მაშინდელ საბჭოთა კავშირში ქუთაისური სარაგბო კლუბი რომ ქუხდა მისი გამორჩეული სახე ალექსანდრე ნაჭყებია იყო. შინაურულდა საშკა ნაჭყებია დღეს 55 წლისა შესრულდა და ამ ჭარმაგ მორაგბეს ბევრი რამ უნახავს და ბევრიც აქვს მოსაყოლი. ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანტიაში დაბადებულ ქართული რაგბის ერთ-ერთ ლეგენდას საიუბილეოდ ვესაუბრეთ...

— ბატონო საშა, გილოცავთ საიუბილეო თარიღს. გვინდა ჩვენი დღევანდელი შეხვედრისას მთელი თქვენი სპორტული კარიერა გავიხსენოთ...

— თბილისის „ბურევესტნიკში“ ხელბურთს ვთამაშობდი, საკმაოდ წარმატებითაც. 1978 წელს გუნდმა საკავშირო თასი მოიპოვა. ამის შემდეგ რაგბით დავინტერესდი. 25 წლის ვიყავი და დღევანდელი გადასახედიდან შესაძლოა გვიანიც იყო, მაგრამ მას შემდეგ მუდმივად რაგბიში ვიყავი. თავდაპირველად პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდში დავიწყე თამაში, 1980 წელს კი ოლეგ ლიპარტელიანის და ავთო ვიორგაძის მიწვევით ქუთაისში აღმოვჩნდი. მას შემდგომ ამ ქალაქის მკვიდრი ვარ და საუკეთესო წლები სწორედ ამ ქალაქში გავატარე.

— თქვენს გუნდში მისვლას „მშენებელის“ წარმატებები მოჰყვა...

— ნამდვილად დიდებული პერიოდი იყო. არნახულად ძლიერმა თაობამ მოიყარა იმ დროს ქუთაისში თავი. წარმოიდგინეთ თითოეულ პოზიციაზე ორი-სამი ძლიერი მოთამაშე იყო. დიდი კონკურენცია გახლდათ, რაც სარაგბო გუნდზე დადებითად აისახებოდა, მალე გუნდში მთავარ მწვრთნელად დუგლას კავთელაშვილი დაინიშნა, რომელმაც თავისი ხელი მალევე დაატყო „მშენებელს“, ჯერ საკავშირო პირველობაზე ვერცხლის მედლები მოვიპოვეთ, შემდეგ კი ბრინჯაო. 1986 წელს ქვეყნის თასი მოვიგეთ, ხოლო 1987-1989 წლებში ზედიზედ სამჯერ ჩემპიონები გავხდით. ამხელა წარმატებებზე ფიქრი ერთი შეხედვით წარმოუდგენელი გახლდათ. პატარა ქალაქის პირველობა ამხელა ქვეყანაში ნამდვილად სიურპრიზი იყო. წარმოიდგინეთ როცა სათამაშოდ კრასნოიარსკში ჩავედით ქუთაისზე არაფერი იცოდნენ.

— თქვენ საბჭოთა ნაკრების ღირსებასაც იცავდით...

— 1982 წლიდან სსრკ-ს ნაკრების წევრი ვიყავი. სამწუხაროდ. საბჭოთა ნაკრებთან ერთად 1985 წელს ევროპის ჩემპიონატზე ტრავმის გამო ვერ ვითამაშე. ისე რამდენიმე საერთაშორისო ტურნირზე წარმატებით გამოვედით და ჩემპიონებიც გავხვდით. ისევ აღვნიშნავ, წარმოიდგინეთ საბჭოთა ნაკრებში 8 ქუთაისელი ვიყავით. ეს ფაქტი მე მგონი მაშინდელი ჩვენი გუნდის მაღალ დონეზე მეტყველებს.

— მაშინდელი მეტოქეებიდან რომელს გამოარჩევდით...

— ძალიან ძლიერი გუნდები იყვნენ საკავშირო პირველობაზე. „მონინო“ მართლაც გამორჩეული იყო, მაგრამ ჩვენთვის მაინც სასურველი მეტოქე გახლდათ. ყველაზე უხერხული და ძნელადმოსაგები გუნდი ალმაათის „სკა“ იყო. 1988 წელს ერთადერთი მარცხი მხოლოდ ამ გუნდთან ვიწვნიეთ.

არადა. იგი სარაგბო ელიტაში ნამდვილად არ შედიოდა. უბრალოდ, ჩვენთან თამაში ყოველთვის გამოდიოდა. იმ პერიოდში „ვვა მონინოს“ შინ და გარეთ ვუგებდით და ყაზახებთან გვიჭირდა თამაში.

— თქვენ ეროვნულ ნაკრებშიც მოგიწიათ თამაში...

— საქართველოს ნაკრებში თამაშის ბედნიერება მართლაც მქონდა. 1990 წელს აფრიკულ ტურნეში ვიმყოფებოდით. ზიმბაბვეში რვა გამართული შეხვედრიდან შვიდი მოვიგეთ. ჩვენს რაგბობას საკმაოდ ხმაურიანი შეფასებები მოჰყვა. სხვათაშორის ამ მატჩებს სპეციალურად ნამიბიიდან ჩამოსული დამკვირვებლებიც ესწრებოდნენ, რომლებმაც დარჩენა და იქაურ კლუბებში თამაში შემოგვთავაზეს. მაშინ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირი იყო და დარჩენაზე ფიქრი წარმოუდგენელი გახლდათ.

— თქვენი პარტნიორებიდან ვის გაიხსენებდით...

— იცით რა იყო... მაშინდელ თაობას ნამდვილად შეიძლება ვუწოდოთ „გუნდი ვარსკვლავი“ — ალიკა გრიგალავა, ოლეგ ლიპარტელიანი, ავთო გიორგაძე, თენგიზ ტურძელაძე, ბესარიონ ლილუაშვილი, ბათლომე ხამაშურიძე, ნუგზარ ძაგნიძე და... ყველას ჩამოთვლა თითქმის შეუძლებელია, არადა, ყველა მათგანი ნამდვილად მსოფლიო დონის ვასრკვლავი გახლდათ. დღესაც კი ზოგიერთი მათგანი დიდ რაგბს ითამაშებდა. ახლა თვალს რომ ვადევნებ თანამედროვე რაგბის, გეტყვით რომ ნუგზარ ძაგნიძისნაირი დამრტყმელი არცერთ ნაკრებს არ ჰყავს. ნებისმიერი გუნდისთვის სანატრელი იქნებოდა ლილუაშვილისნაირი ბურჯი. საერთოდ ამ ხალხზე საუბარი დაუსრულებლივ შეიძლება.

— ბატონო საშა, დღევანდელ საქართველოს ნაკრებზე რას იტყვით...

— მხოლოდამხოლოდ კარგს და მათზე ქებას ნამდვილად არ დავიშურებ. ძალიან ნიჭიერი და მონდომებული თაობაა. მწვრთნელიც კარგია, რომ ავსტრალიიდან ჩამოიყვანეს. მას შეუძლია ქართულ რაგბის დიდი ამაგი გაუწიოს. ჩვენს ბიჭებზე ძალიან კარგად აისახება ის, რომ ისინი უცხოეთში თამაშობენ, სადაც მათი კლასი მუდმივად მაღლდება, დადებითი მომენტია ისიც, რომ ნაკრების გაახალგაზრდავების უმტკივნეულოდ მიმდინარეობს.

— არ შეიძლება დღევანდელ „აიაზეც“ არ გკითხოთ...

— ნამდვილად ცუდი ფაქტი იყო ის, რომ „აია“ გასულ წელს უმაღლეს ჯგუფში არ ასპარეზობდა. წლეულს უკვე ეს საგზური მოვიპოვეთ. იმედია გუნდი ჩემპიონატში წარმატებით გამოვა, თანაც წელს ჩემპიონატში გამარჯვებული გუნდი ევრო სარბიელზეც გამოვა. საკლუბო ტურნიზე გამოსვლის პერსპექტივა კი კონკურენციას არნახულად გაზრდის. გვაქვს იმის იმედიც, რომ გუნდს სპონსორიც ეყოლება. ახლა რაგბის კავშირი ახალი პრეზიდენტი ავირჩიეთ, რომელმაც ძალიან კარგად იცის ქუთაისური რაგბის ფასი. გია ნიჟარაძე სიტყვის კაცია და დარწმუნებული ვარ შეპირებულს აუცილებლად შეასრულებს. მოკლედ, დარწმუნებული ვარ, რომ მოკლე ხანში ქართული რაგბი პროგრესირებას კვლავ განაგრძობს...

ზეზვა რაჭველიშვილი

ქუთაისიდან

რაგბი. თოვლშიც კარგია

ბადრი კვეტელაძის ფოტო

შარშან ზაფხულში საქართველოს ქვიშის რაგბის კავშირი ჩამოყალიბდა, რომელმაც საქმეს ხელი ეგრევე მოჰკიდა და აგვისტოში ქობულეთში პლაჟის რაგბიში ტურნირიც მოაწყო. ტურნირი საკმაოდ რეზონანსული გამოდგა და ჩვენში რაგბის პოპულარიზაციასაც შეაშველა ხელი. თანაც ქობულეთში ვეტერან მორაგბეებთან ერთად ჟურნალისტებმაც ითამაშეს. ქვიშის რაგბის კავშირმა ახლა გადაწყვიტა, არც ზამთრის სეზონი ჩაგდოს და ბაკურიანში თოვლის რაგბის ტურნირი მოაწყოს. თოვლში სახალისო რაგბი 9-11 მარტს გაიმართება, დეტალებზე კი ქვიშის რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტ ზურაბ დუგლაძეს გავესაუბრეთ, რომელიც იმავდროულად, საქართველოს შვიდქალა ნაკრების მწვრთნელიცაა

— შარშან პლაჟის რაგბიში ტურნირი რომ ჩავატარეთ, ძალიან ბევრი ადამიანი და ორგანიზაცია გამოგვეხმაურა, რომლებსაც თამაშის სურვილი ჰქონდათ, თანაც ტურნირს ძალიან კარგი პიარი ჰქონდა, ტელევიზიებმა და პრესამ დეტალურად გააშუქეს. თანაც, დამსვენებლებიც მოდიოდნენ და გვთხოვდნენ, თუ მომავალშიც დააპირებთ ტურნირის ჩატარებას, ეგებ პრესით და ტელევიზიით გაგვაგებინოთ, ჩვენც მივიღებთ მონაწილეობასო. ერთი სიტყვით, პლაჟის რაგბიმ გაამართლა. ჩვენი კავშირის დაფუძნების მთავარი პრიორიტეტიც ეგ იყო, რაგბის პოპულარიზაცია და ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა. ახლა გადავწყვიტეთ, სეზონი არ ჩავაგდოთ და თოვლის რაგბიში ჩავატაროთ ტურნირი, რომლის სლოგანიც იქნება — რაგბი ნარკომანიის წინააღმდეგ. ვფიქრობ, ტურნირი გაამართლებს თავის დანიშნულებას, რადგან თებერვალი სარაგბო თვე იყო, ჩვენმა ნაკრებმა ზედიზედ სამი მატჩი მოიგო. ახლა ქართულ რაგბიში პაუზაა და ვფიქრობთ, ამ ტურნირით ვაკუუმს რამენაირად შევავსებთ.

— ასეთი ტურნირების მოწყობას სოლიდური დაფინანსებაც სჭირდება. თქვენ ვინ გაფინანსებთ?

— პირველ რიგში, ძალიან გვეხმარებიან საქართველოს რაგბის კავშირი და საქართველოს სპორტის დეპარტამენტი. ამასთან ერთად, გვაფინანსებენ ქართული რაგბის სპონსორები — კომპანია „კვარციტი“ და უძრავ-მოძრავი ქონების საგენტო „ლიბო“, მხარში გვიდგანან კომპანიები: „ყაზბეგი“, „იოლტ“ და „ნიკორა“. ერთი სიტყვით, ქართული რაგბის საქმის საკეთებლად, საბედნიეროდ, ბევრი პარტნიორი გამოჩნდა.

— რამდენგუნდა ტურნირს ატარებთ?

— ამჟერად გადავწყვიტეთ, რომ შეკიბრი მოქმედი მორაგბეების გარეშე ჩავატაროთ. თამაშის სურვილი ბევრს ჰქონდა, ჩვენ შესაძლებლობები გავთვალეთ და ოთხ გუნდზე შეჩერდით. ბაკურიანში ითამაშებენ საზოგადოებრივი არხის და სტუდია TBS-ის გაერთიანებული ნაკრები, მედიის ნაკრები, რომელიც რაგბიზე მწერალი ჟურნალისტებით დაკომპლექტდება, ტელესერიალ „ჩიფსების თაობის“ ნაკრები და სანავობო კომპანია „ბრითიშ პეტროლიუმის“ თანამშრომლები.

ბაჩო სვანიძე



ჯონის მორიგი რეკორდი

თურმე, არეკნებსაც ითვლიან

გასულ უქმეებზე ინგლისის ნაკრებმა თავისი ჯილას, ჯონი უილკინსონის ჯადო ფეხის წყალობით საფრანგეთი მისსავე მოედანზე მიანგრია. სხვათა შორის, ბოლო რვა წლის მანძილზე ინგლისმა პირველად შეძლო „მამლების“ „სტად ფრანსეზე“ დამარცხება, ჯადო ჯონიმ კი 14 ქულა დაასეტყვა ფრანგებს. ინგლისელთა ნებიერამ 1 გარდასახვა, 3 ჯარიმა და ერთიც არეკნი გაიტანა. სწორედ ამ არეკნის გამო გვიხდება ამ წერილის დაწერა.

საქმე ისაა, რომ ჯონი უილკინსონმა ფრანგებს 40 მეტრიდან თავის კარიერაში 29-ე არეკნი გაუტანა და ამით მსოფლიოს რეკორდიც დაამყარა. ანუ რაგბულად რომ ვთქვათ, ჯონი უილკინსონი პლანეტის უპირველესი მეარეკნეა. აქამდე მას და ლეგენდარულ არგენტინელს უგო პორტას 28 არეკნი ჰქონდათ გატანილი.

„სიმართლე გითხრათ, არც ვიცოდი, რომ უგო პორტას გადავასწარი. ეს ჟურნალისტებისგან გავიგე. ზოგადად, სტატისტიკა მიზიდავს, მაგრამ წარმოდგენაც არ მქონდა, რომ არეკნებსაც, როგორც ცალკე რეკორდს ისე განიხილავდნენ. რა მეთქმის, კარგია, რომ კიდევ ერთი რეკორდი დავამყარე“ — განაცხადა ჯონი უილკინსონმა.

ბაჩო სვანიძე

მსოფლიოს თასი. ზაკოპანე. პოლონეთი. 24-25 თებერვალი

სპრინტი (ერთი ნახტომი HS 134 ტრამპლინიდან + 7,5 კმ)

1. ბერნარდ გრუბერი (ავსტრია) 18 წთ 51,8 წმ (მე-2 ადგილი ტრამპინზე)
2. ტომი შმიდი (შვეიცარია) +12,0 წმ (7)
3. ბილ დემონგი (აშშ) +13,0 (21)
4. მარიო შტეხერი (ავსტრია) +16,2 (8)
5. პეტერ ტანდე (ნორვეგია) +19,8 (14)

საერთო ჩათვლა

1. რონი აკერმანი (გერმანია) 1040 ქულა
2. ბილ დემონგი (აშშ) 841
3. პეტერ ტანდე (ნორვეგია) 733
4. ჟესონ ლამი შაპუი (საფრანგეთი) 728
5. ბერნარდ გრუბერი (ავსტრია) 714

მსოფლიოს ჩემპიონატი ტრამპლინიდან ფრენაში. ობერსდორფი. გერმანია. 23-25 თებერვალი

პირადი. HS 213 (ოთხი ნახტომი)

1. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია) 835,4 ქულა (212,0 მ, 217,5 მ, 208,5 მ, 211,5 მ)
2. მარტინ კოხი (ავსტრია) 824,7 (215,5, 221,0, 213,0, 201,5)
3. იანე აჰონენი (ფინეთი) 811,9 (210,5, 206,5, 209,0, 208,5)
4. ბიორნ ეინარ რომორენი (ნორვეგია) 804,6 (214,5, 213,5, 198,5, 196,6)
5. იანე ჰაპონენი (ფინეთი) 801,7 (202,5, 210,5, 201,0, 207,0)

მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლა

1. ტომას მორგენშტერნი (ავსტრია) 1632 ქულა
2. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია) 1031
3. იანე აჰონენი (ფინეთი) 969
4. ტომ ჰილდე (ნორვეგია) 917
5. ანდერს ბარდალი (ნორვეგია) 668

გუნდური. HS 213

1. ავსტრია (მარტინ კოხი, ტომას მორგენშტერნი, ანდრეას კოფლერი, გრეგორ შლირენცაუერი) 1553,3 ქულა
2. ფინეთი (იანე ჰაპონენი, ჰარი ოლი, მატი ჰაუტამაეკი, იანე აჰონენი) 1477,0
3. ნორვეგია (ბიორნ ეინარ რომორენი, ანდერს ბარდალი, ტომ ჰილდე, ანდერს იაკობსენი) 1453,2
4. გერმანია (გეორგ შპეტჰი, მიხაელ ურმანი, მარტინ შმიტი, მიხაელ ნოიმაიერი) 1361,7
5. რუსეთი (დმიტრი ვასილიევი, ილია როსლიაოკოვი, პაველ კარელინი, დენის კორნილოვი) 1308,1

17 წლის გრეგორ შლირენცაუერმა ობერსდორფის გიგანტურ ტრამპლინზე ორი ოქრო მოიპოვა

Formula 1
რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი

ლუის ჰემილტონის სისწრაფემ მიხაელ შუმახერს თვალი მოსჭრა

შუმახერიან ფერარის ჰემილტონმა აჯობა

. ორშაბათს ბარსელონაში, „კატალუნია მონტმელოს“ ავტოდრომზე დაიწყო საპირველფორმულო ჩემპიონატისწინა ბოლო ტესტ-სესია. სამეფო რბოლების წლევანდელი ჩემპიონატი 16 მარტს ავსტრალიური დიდი პრიზით იწყება და სწორედ ბარსელონაა ის ადგილი, სადაც გუნდებს შეუძლიათ, თავიანთი მზადყოფნა სარბოლო პირობებში კიდევ ერთხელ შეამოწმონ.

კატალონიაში ჩემპიონატის განაცხადში მყოფი თერთმეტი გუნდიდან ათი ჩავიდა. გამონაკლისი მხოლოდ „სუპერ აგურია“, რომელსაც ჯერაც ვერ მოუგვარებია ძრავების მომწოდებელ „ჰონდასთან“ არსებული პრობლემები. მიუხედავად ამისა, აგური სუძუკის საჯინიბოში იმედოვნებენ, რომ საავსტრალიოდ ყველაფერი მოგვარდება და გუნდი ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებს.

დავუბრუნდეთ ბარსელონას და ორშაბათის მთავარი ამბავი ის იყო, რომ მსოფლიოს ჩემპიონ კიმი რაიკონენთან ერთად ახალ „ფერარის“ გუნდის ლეგენდა, შვიდგზის ტრიუმფატორი მიხაელ შუმახერი უტარებდა ტესტირებას. დიად გერმანელს დიდ პრიზებთან განშორების მიუხედავად, ჯერაც არ დაუკარგავს სისწრაფე. ორშაბათს მან „კატალუნია მონტმელოს“ 83 წრე დაარტყა და საუკეთესოზე წუთი და 22,428 წამი აჩვენა, რაც დღის მესამე შედეგი იყო.

შუმახერზე სწრაფები, მხოლოდ რაიკონენი და მსოფლიოს ვიცეჩემპიონი, ინგლისელი ლუის ჰემილტონი იყვნენ. „წითელი ბარონის“ ტრასაზე გამოჩენის შემდეგ დღის მთავარი ამბავი, სწორედ ჰემის მიერ ფერარელთა ჯობნა იქცა. არადა, ყველა წინასასეზონო პროგნოზით, „ფერარის“ ბოლიდები „მაკლარენებზე“ სწრაფები უნდა იყვნენ, მაგრამ ორშაბათს ჰემილტონმა საწინააღმდეგო დაამტკიცა და საუკეთესო წრეზე წუთი და 22,276 წამი აჩვენა.

რაიკონენი ჰემილტონს წამის 43 მეათასედით ჩამორჩა. თავი არც „მაკლარენის“ მეორე პილოტს, ფინელ ჰეიკი კოვალაინენს შეურცხვენია, რომელმაც „კატალუნია მონტმელოს“ საუკეთესო წრეზე წუთსა და 22,852 წამში შემოუქროლა და დღის მეხუთე შედეგი აჩვენა. კოვალაინენის წინ და უკან კი „უილიამსის“ პილოტები, იაპონელი კაძუკი ნაკაჯიმა (1.22,724) და გერმანელი ნიკო როსბერგი (1.22,974) განლაგდნენ. სერ ფრენკ უილიამსის გუნდი ბოლო ტესტებზე მშვენიერ შედეგებს აჩვენებს და ამ ეტაპზე ისე ჩანს, რომ „ფერარისა“ და „მაკლარენის“ შემდეგ ყველაზე სწრაფები, სწორედ „უილიამსები“ არიან და არა, ვთქვათ „BMW-ზაუბერის“ მანქანები. არადა, გერმანული საჯინიბოს პილოტები, რობერტ კუბიცა და ნიკ ჰაიდფელდი ამტკიცებენ, „მაკებს“ აღარაფრით ჩამოვრჩებით და მეორე გუნდური ადგილისთვის ვიბრძოლებთო.

ორშაბათს კუბიცა ტრასაზე არ გამოჩენილა, ხოლო ჰაიდფელდი ოდენ მერვე იყო. მას „რენოს“ ლიდერმა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ფერნანდო ალონსომაც (1.23,021) აჯობა. ჩამოთვლილთა გარდა ათეულში „ფორს ინდიას“ ადრიან სუტილი და „რედ ბულის“ მარკ ვებერი შევიდნენ, ხოლო ჰელოტონის ბოლოში, კვლავაც „ჰონდას“ პილოტები იყვნენ.

კახა ლომაძე

ახალი ჰილი: გრემის შვილიშვილი და დეიმონის შვილი

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, ლეგენდარული გრემ ჰილის შვილიშვილი და მსოფლიოს 1996 წლის ჩემპიონის, დეიმონ ჰილის შვილი, 17 წლის ჯოშ ჰილი, სარბოლო კარიერას იწყებს.

არც არის გასაკვირი. კვიცი გვარზე ხტისო და, მალე ტრასებზე მესამე თაობის ჰილს ვიხილავთ და არც ის უნდა გაგვიკვირდეს, თუ რამდენიმე წელიწადში ჯოშ ჰილი საპირველფორმულო დიდ პრიზებზეც გამოჩნდება.

ახალი ჰილი სარბოლო კარიერას Ginetta Junior-ის სერიაში იწყებს. ეს გახლავთ მოზარდთა სარბოლო სერია, რომელიც, ხარისხობრივად, კარტინგს მოსდევს.

„მას შეეძლო, კიდევ ერთი წლით დარჩენილიყო კარტინგში, მაგრამ მაღალი ბიჭია და უკვე დროა, სხვა კლასის მანქანაში გადამჯდარიყო — განაცხადა დეიმონ ჰილმა და დაამატა — რაშე განსაკუთრებულს არ ველით, ეს, უბრალოდ, ძალების ერთგვარი გამოცდა იქნება“.

ასწევს თუ არა სარბოლო საჯილდაო ქვას ჯოშ ჰილი, მომავალში გამოჩნდება. ისე კი, გრემ ჰილის შვილიშვილისა და დეიმონ ჰილის შვილისგან, ალბათ, ჩემპიონობაზე ნაკლებს არ ელიან.

კახა ლომაძე

ლადო ჩიხლაძე

სარეიტინგო ადი-ჩადი

ისევე, როგორც წინა რეიტინგებში, არც ორშაბათს გამოქვეყნებულ ახალ კლასიფიკაციებში შეცვლილა ქართველ ჩოგბურთელთა პოზიციები. ლაპარაკი არ არის უმნიშვნელო ცვლილებებზე — ზოგიერთმა ჩვენებურმა რამდენიმე საფეხურით წინ წაიწია, სხვები, პირიქით, ოდნავ დაბლა დაეშვნენ და სამნი — მაკა ჩახნაშვილი, სოფო შაფათავა და სოფო ქვაცაბაია კი სულაც იქ დარჩნენ, სადაც ერთი კვირის წინ იყვნენ.

კაცები

370 (+1)	ლადო ჩიხლაძე	87
1220 (-1)	ნოდარ ითონიშვილი	4
1492(+2)	გიორგი ხრიკაძე	1
1492 (+2)	გიორგი ჭანტურია	1

ქალები

199 (0)	მაკა ჩახნაშვილი	144
288 (-7)	ანა ტატიშვილი	83
409 (0)	სოფო შაფათავა	46
502 (+6)	თინა ყავლაშვილი	31
586 (+5)	სალომე დევიძე	22
598 (+7)	მანანა შაფაქიძე	21
642 (+4)	ოქსანა კალაშნიკოვა	18
708 (0)	სოფო ქვაცაბაია	15
806 (+2)	ეკა გორგოძე	10
872 (+1)	სოფო მელიქიშვილი	8

კაცები

განთესვის რეიტინგი

1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია)	6630
2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი)	5980
3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი)	5070
4. დავიდ ფერერი (ესპანეთი)	2695
5. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი)	2640
6. ენდი როდიკი (აშშ)	2120
7. რიშარ გასკე (საფრანგეთი)	1885
8. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა)	1875
9. ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	1710
10. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი)	1685
11. მიხაილ იუჟნი (რუსეთი)	1670
12. ენდი მიურეი (ბრიტანეთი)	1625
13. კარლოს მოია (ესპანეთი)	1585
14. ფერნანდო გონსალესი (ჩილე)	1515
15. პოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი)	1495
16. ტომი რობრედო (ესპანეთი)	1490
17. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი)	1470
18. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია)	1460
19. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი)	1455
20. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი)	1455

საჩემპიონო რბოლა

1. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი)	203
2. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი)	155
3. რაფაელ ნადალი (ესპანეთი)	119
4. მიშელ ლოდრა (საფრანგეთი)	107
5. მიხაილ იუჟნი (რუსეთი)	95
6. ენდი მიურეი (ბრიტანეთი)	91
7. როჯერ ფედერერი (შვეიცარია)	90
8. ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	82
9. ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია)	77
10. იარკო ნიემინენი (ფინეთი)	74
11. დავიდ ფერერი (ესპანეთი)	63
12-13. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი)	57
12-13. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი)	57
14. პოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი)	56
15. ჟილ სიმონი (საფრანგეთი)	55
16-17. ხუან მონაკო (არგენტინა)	54
16-17. დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი)	54
18. რობინ სოდერლინგი (შვედეთი)	52
19-21. ფერნანდო გონსალესი (ჩილე)	50
19-21. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა)	50
19-21. ენდი როდიკი (აშშ)	50

ქალები

განთესვის რეიტინგი

1. ჟუსტინ ენინი (ბელგია)	6530
2. ანა ივანოვიჩი (სერბეთი)	3822
3. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი)	3725
4. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი)	3670
5. მარია შარაპოვა (რუსეთი)	3526
6. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი)	2835
7. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი)	2677
8. ვინუს უილიამსი (აშშ)	2645
9. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი)	2198
10. სერენა უილიამსი (აშშ)	2022
11. ელენა დემენტიევა (რუსეთი)	1915
12. პატი შნიდერი (შვეიცარია)	1751
13. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი)	1693
14. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი)	1632
15. დინარა საფინა (რუსეთი)	1627
16. ნადია პეტროვა (რუსეთი)	1569
17. აგნეს სუავი (უნგრეთი)	1469
18. შაჰარ პირი (ისრაელი)	1445
19. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი)	1442
20. სიბილ ბამერი (ავსტრია)	1366

საჩემპიონო რბოლა

1. მარია შარაპოვა (რუსეთი)	1465
2. ანა ივანოვიჩი (სერბეთი)	890
3. ჟუსტინ ენინი (ბელგია)	800
4. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი)	635
5. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი)	625
6. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი)	576
7. ნა ლი (ჩინეთი)	565
8. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი)	437
9. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი)	368
10. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი)	345
11. ვინუს უილიამსი (აშშ)	315
12. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი)	300
13. ფლავია პენეტა (იტალია)	271
14. ელენა დემენტიევა (რუსეთი)	266
15-16. შაჰარ პირი (ისრაელი)	255
15-16. კაროლინ ვოზნიაკი (დანია)	255
17. სერენა უილიამსი (აშშ)	250
18. ტინია ბასინსკი (შვეიცარია)	249
19. კარინ კნაპი (იტალია)	243
20. დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი)	257

ლეილა მესხი

დეველოპმენტი ქართულ ჩოგბურთს

გუშინ საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციასა და კომპანია „რაკი დეველოპმენტს“ შორის გაფორმდა ოფიციალური ხელშეკრულება, რის საფუძველზეც ზემოთ ხსენებული კომიანია ერთი წლის განმავლობაში იქნება საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციისა და ქართული ჩოგბურთის სპონსორი. „რაკი დეველოპმენტი“ გახლავთ უმსხვილესი არაბული კომპანია და ამჟამად საქართველოში ათი სხვადასხვა პროექტზე მუშაობს. სავარაუდოდ, ახალი სპონსორი გვარიან თანხას გაიღებს ქართული ჩოგბურთის განვითარებისთვის. ამ ყველაფერთან დაკავშირებით ლეილა მესხის სახელობის საჩოგბურთო აკადემიაში გაიმართა პრესკონფერენცია, რომელზედაც საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლეილა მესხმა და „რაკი დეველოპმენტის“ წარმომადგენლებმა, ზაზა მიქაძემ და დავით გვათუამ ისაუბრეს.

ლეილა მესხი: მოხარული ვარ რადგანაც მნიშვნელოვანი სპონსორი ვიშოვეთ. ვფიქრობ, ახლა ქართული ჩოგბურთის საქმე გაცილებით უკეთესად წავა. აუცილებლად დიდ ყურადღებას დავუთმობთ რეგიონებში ჩოგბურთის განვითარებას. დავეხმარებით ახალგაზრდა სპორტსმენებს. გავმართავთ ჩოგბურთის ღია კარის დღეს, სადაც ყველა მოყვარულს და ყველა მსურველს შეეძლება ითამაშოს და გაერთოს სპორტის ამ სახეობით. ჯერ კონკრეტულ სამომავლო გეგმებზე ვერ დაგელაპარაკებით, მაგრამ გპირდებით, რომ მოვლენებს ეტაპობრივად გაგაცნობთ.

ზაზა მიქაძე: ბედნიერები ვართ იმით, რომ ჩვენს კომპანიას წილად ხვდა პატივი, იყოს საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის სპონსორი. ჩვენ დიდი შემართებით ვუდგებით ამ საქმეს. გვინდა ჩვენს ქვეყანაში ბევრი მაღალი დონის ტურნირი ჩავატაროთ. საჩოგბურთო ტრადიციებით მდიდრები ვართ და რატომ არ უნდა გვქონდეს ამბიცია, მაგალითად რუსეთის დონეს მივაღწიოთ. ამ ეტაპზე ჩვენი თანამშრომლობა ერთ წელს გასტანს, მაგრამ მოხარულები ვიქნებით, თუ შემდეგაც გავაგრძელებთ კონტრაქტს.

ზურაბ მიგრიაული

ტატიშვილმა ფორტის კარი შეაღო

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ფლორიდის შტატის ქალაქ ფორტ ვუტონის ჰარდზე ITF-ის ეგიდით ქალთა 25-ათასიანი ტურნირი ტარდება და ქართველმა ჩოგბურთელმა ანა ტატიშვილმა ძირითად ბადეში თამაშის უფლება მოიპოვა.

საკვალიფიკაციო ეტაპზე ანამ ჯერ 17 წლისა და რეიტინგში 506-ე ადგილზე მყოფ სლოვენიელ ტადეია მაჟერიჩს მოუგო სამ სეტში — 6:7 6:1 7:5, შემდეგ 15 წლისა და კლასიფიკაციაში 647-ე საფეხურზე მყოფი ამერიკელი კრისტინა მშვილი ორ სეტში — 6:4 6:3 დაჯაბნა და ბოლოს კი ასევე ორ პარტიაში, 6:3 6:1 მოუგო 18 წლის გერმანელ დომინიკ რიპოლს, ვისაც რეიტინგში 397-ე პოზიცია უკავია.

ძირითადი შეჯიბრის პირველ წრეში ტატიშვილს მეტოქედ მე-5 ნომრად განთესილი კორეელი, 20 წლისა და კლასიფიკაციაში 201-ე ადგილზე მყოფი ი რა ლი ერგო.

კვალიფიკაციიდან ცდილობს ძირითად ბადეში მოხვედრას ოქსანა კალაშნიკოვაც. ის გერმანული ბუხენის ხალიჩაზე ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით მიმდინარე 10-ათასიან შეჯიბრში მონაწილეობს. საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ წრეში ოქსანამ 7:5 6:4 მოუგო 22 წლის სლოვენიელ ანია პრისლანს, ვისაც რეიტინგში 1053-ე საფეხური უპყრია. მეორე და გადამწყვეტი შეხვედრა ჩვენებურს კვალიფიკანტთა შორის მე-3 ნომრად განთესილ 17 წლის სლოვაკ კრისტინა კუსოვასთან აქვს, ვისაც რეიტინგში 529-ე ადგილი უკავია.

ესპანეთის ქალაქ სანტა ბოის ითხნარზე მიმდინარე 10-ათასიანი ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშობდა კიდევ ერთი ჩვენებური სოფო ქვაცაბაია, ვისაც სულ ცოტა დააკლდა ძირითად ბადეში მოსახვედრად.

პირველ წრეში სოფომ უროეტინგო პორტუგალიელ კარლა კეტანოს 6:4 6:3 სძლია, შემდეგ კლასიფიკაციის 828-ე საფეხურზე მყოფ 19 წლის ესპანელ ანტონია პრიეტოგარსიას 6:4 6:1 მოუგო, მაგრამ მესამე წრეში 6:1 4:6 2:6 წააგო კვალიფიკანთა შორის მესამე ნომრად განთესილ ფრანგ ნატალი ბეჯინთან, ვისაც რეიტინგში 630-ე ადგილზეა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კოტა ინასარიძე, ნუნუზარ ლოლაძე, ილია ნინობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხოჭორავა
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოხალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარიოვა, ლიანა ბუხელია, ნათელა ბუხუნაშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208, ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00